# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№22 (1532) 8–10 მარტი, 1997 წელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

მესამე გვერდი

## ვარდიკო გიორგაძის დონის ფიგურა არ არის!..

მეორე გვერდი

## უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პროგრამები
## ქართული ენა

მერვე გვერდი



## დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

მეორე გვერდი



## სად არიან შვილები, შვილები სად არიან...

სად არიან შვილები, შვილები სად არიან,
გავალ გავიხედები, არ არიან, ქარია.
სად არიან შვილები, მე რომ მოგაბარეა,
გავალ, ავეძრახები, არ არიან, ქარია.
საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია,
სად არიან შვილები, ქარია, არ არიან.
სად არიან ვეფხვები, ლერწმიანში არიან.
ლერწმიანში ქარია, ვეფხვები არ არიან.
ჩემი მკვდარი კი არა, შენი პატიმარია,
მიველ, ციხე გავტეხე, არ არიან, ქარია.
გოგო, ბიჭი გიყვარდა, თქმა ვერ მოასწარია,
გზაზე გამოეკიდე, არ არიან, ქარია.
ეშმაკს ერქვას სახელად, ვინც მე ხელი დამრია,
სად არიან შვილები, შვილები სად არიან.
იმათ სახელობაზე ხე მაინც ახარეა,
იმ ხესაც ხომ შენ დასწვავ, შენი მოსახმარია,
საქართველო, მითხარი, ნუთუ მხოლოდ ქარია,
სად არიან შვილები, შვილები სად არიან,
გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია,
საყელოზე მოგწვდები, შვილები სად არიან,
არ არიან შვილები, საქართველო ქარია,
ქარია საქართველო, შვილები არ არიან
დღე არის, არ არიან, ღამეა, არ არიან,
ქარია, არ არიან, არ არიან, ქარია.

ბესიკ ხარანაული
1997. თბილისი

## დასრულდა ქართულ-ოსური მოლაპარაკებების პირველი რაუნდი

როგორც მოსკოვში საქართველოს საელჩოდან გახდა ცნობილი, 4–5 მარტს მოსკოვში შედგა ქართულ–ოსური კონფლიქტის მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი, კონფლიქტის ფართომასშტაბიანი დარეგულირების შესახებ. დელეგაციებს საქართველოს და სამხრეთ ოსეთის მხრიდან ხელმძღვანელობდნენ ი.მენაღარიშვილი და ა.შავლოხოვი. რუსეთის მხარეს წარმოადგენდა ბ.პასტუხოვი, ხოლო ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს – ი.ბირაგოვი. მოლაპარაკებებში მონაწილეობდა საქართველოში ეუთოს- მისიის ხელმძღვანელის მოადგილე რ.ხარმოზა.

შეხვედრის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს პოზიტიური დინამიკა, რომელიც შეიმჩნევა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში და აღნიშნეს, რომ საჭიროა მისი ყოველმხრივი განმტკიცება. ამასთან მათ აღნიშნეს, რომ გაერო–სა და ეუთო–ს გადაწყვეტილებების ერთგულნი არიან. აღინიშნა, რომ კონფლიქტის მოგვარების კონტექსტში განსაკუთრებული ადგილი უკავია კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის და დანგრეული მეურნეობის აღდგენასა და კონფლიქტის სოციალური შედეგების ლიკვიდაციას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებები ეკონომიკურ საკითხებზე გაგრძელდება და ამ მიმართულებით გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები. მოლაპარაკების შედეგად მიღებულია ოქმი. დელეგაციის მუშაობის მსვლელობისას მიღებული იქნა ერთობლივი განცხადება ქართულ–ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მხარეები შეთანხმდნენ, შემდეგი შეხვედრა გაიმართოს 1997 წლის ივნის–ივლისში. თარიღი, ჩატარების ადგილი და დღის წესრიგი მომავალში დადგინდება. (იფრინდა)

## ძებნილი დაკავებულია

უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტერიტორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, საერთაშორისო ნარკობიზნესთან და ეკონომიკურ დივერსიებთან ბრძოლის ბიუროს და პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიების შედეგად, 6 მარტს თბილისში დააკავეს თელავის რაიონის ყოფილი გამგებელი მერაბ ხიდაშელი, რომელიც 1995 წლიდან იძებნებოდა საქართველოს პროკურატურის მიერ. მ.ხიდაშელს ბრალად ედება საქართველოს „კოდექსის 238–ე მუხლის, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (იარაღის, საბრძოლო მასალებისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ ტარება, შენახვა, გადამალვა, გადაზიდვა, შეძენა, დამზადება, ან გასაღება). (იფრინდა)

## ჯარში არ უნდა მოხვდეს არცერთი ავადმყოფი

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს რესპუბლიკის კომისარმა გენერალმა ნ.თათარაშვილმა განაცხადა, კომისარიატებში შექმნილია ახალი მექანიზმები, რის საშუალებითაც კომისარიატები შეისწავლიან წვევამდელების პირად საქმეებს და მხოლოდ ამის მიხედვით მოხდება მათი შერჩევა სხვადასხვა სამხედრო ნაწილებისათვის.

მისივე თქმით, იმისათვის, რომ ჯარში არ მოხვდეს არცერთი ავადმყოფი, კომისარიატებში ადგილზევე მოხდება წვევამდელების სამედიცინო–დიაგნოსტიკური გამოკვლევა. აღნიშნულის შესახებ კომისარიატებში მკაცრი განკარგულებაა გაცემული.

როგორც ნ.თათარაშვილმა აღნიშნა, სკოლებში კვლავ უბრუნდებიან დაწყებითი სამხედრო სწავლების შემოღებას, რაც ადგილობრივ კომისრებს საშუალებას მისცემს 15–16 წლიდან შეისწავლონ ახალგაზრდების ფსიქოლოგია და ჯანმრთელობა. (იფრინდა)

# პასუხგაუცემელი კითხვები, ანუ როცა სილაჩრე ცხადდება მონდომებად

ბიბლიოთეკა

### 19 მწარე შეკითხვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ვარდიკო ნადიბაიძეს

### კითხვა მეცხრე:

ალბათ, არ გსიამოვნებთ იმ ისტორიის გახსენება, როგორ დაგაკავეს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჩვეულებრივმა რიგითმა რუსმა მესაზღვრეებმა ადლერის აეროპორტში. რა იყო იმ დაკავების მიზეზი?

ამ კითხვას, ნადიბაიძისგან არიდებულს, უპასუხებს დეპუტატი ირინა სარიშვილი-ჭანტურია

# ირინა სარიშვილი-ჭანტურია: ნადიბაიძე გიორგაძის დონის ფიგურა არ არის!..

მე არ ვიცი, რა იქნებოდა თავდაცვის მინისტრის პასუხი, მაგრამ მგონი კარგად მესმის, რატომ დააკავეს რიგითმა რუსმა მესაზღვრეებმა ბატონი ვარდიკო ნადიბაიძე. შევეცდები ამის ჩამოყალიბებას.

საკმაოდ ხმამაღალია იმის განცხადება, რომ ვარდიკო ნადიბაიძე არის რუსეთის ემისარი, ანუ აგენტი საქართველოში. მისი პერსონა იმ სერიოზულ მოთხოვნებს არ პასუხობს, საიდან გამომდინარეც რუსეთმა შეიძლება ვარდიკო ნადიბაიძეზე ააგოს თავისი სტრატეგიული პოლიტიკა საქართველოში.

ის უფრო ცარიელი ადგილია. რუსეთს ვაკანსია აქვს შენარჩუნებული თავდაცვის მინისტრის ადგილზე. მაგრამ მთლად ასე მარტივადაც არ არის საქმე. იქ იარაღის საკითხია გასარკვევი, განსაკუთრებით იმ პერიოდზე, როცა ავთ.მარგიანი იყო ამ ბლოკის ვიცე–პრემიერი. მხედველობაში მაქვს იარაღით ვაჭრობა და ა.შ. რა შეეძლო მიეღო და რა მიიღო საქართველომ, ვითომ რუსეთთან მეგობრობით.

ამიტომ რუსმა მესაზღვრეებმა რომ ვ.ნადიბაიძე დააკავეს, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ ის რუსეთისთვის, ნებისმიერი სხვა რუსივით რიგითი ჯარისკაცია. რუს რიგით მესაზღვრეს უფრო მაღალი სტატუსი აქვს, ვიდრე სხვა რიგით ჯარისკაცს. ამიტომ, ჩემი აზრით, აბსოლუტურად ბუნებრივად მოექცნენ – დააკავეს როგორც საკუთარი ქვეყნის ერთ–ერთი რიგითი ჯარისკაცი.

ამით თვითონ ნადიბაიძეს შეახსენეს, თუ იგი ვინ არის. არა მგონია, საქართველოში რომელიმე სერიოზული ადამიანი თვლიდეს, რომ ნადიბაიძე, იგივე ი.გიორგაძის დონის ფიგურაა.იგი ჯარის მეურნეა.

პრობლემა იმაშია, რომ ადგილი ფორმალურად ვაკანტურადაა დაკავებული. ამით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ექმნება წინააღმდეგობა, რომ მან ქვეყნისთვის საჭირო პოლიტიკა აწარმოოს.

# დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

### შიმშილობის მე–5 დღე. 6 მარტი, ხუთშაბათი

მოშიმშილეებს მნახველებიარ აკლდებათ. ოთხშაბათს, გვიან ღამით, მათთან ისევ მივიდა ზურაბ ჟვანია, რომელიც დიდხანს ესაუბრა მოშიმშილე ფრაქციის თავმჯდომარეს გერმანე ფაცაციას. უახლოეს დღეებში პარლამენტის თავმჯდომარე შეერთებულ შტატებში მიემგზავრება, მის დაბრუნებამდე მოშიმშილეთა მოთხოვნაზე იმუშავებს ფრაქციებისაგან შექმნილი კომისია. საპარლამენტო პრაქტიკაში კომისიების შექმნა დროის უსასრულოდ გაწელვას და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების თავიდან არიდებას ნიშნავს. ამიტომ, ხუთშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე „რბილი" ხასიათის დეპუტატებიც კი აღნიშნავდნენ, რომ პარლამენტს მათი საკითხის გადაწყვეტა არ ძალუძს, იგი არაა ბოლო ინსტანცია, მაგრამ იმედს გამოთქვამდნენ, რომ პარლამენტს მეტი გზა არა აქვს, უნდა იმსჯელოს მათ მიერ წამოჭრილ საკითხზე (ვ.ყოლბაია, გ.გვაზავა, ა.წოწონავა). გერმანე ფაცაციამ კი თქვა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყვეტენ შიმშილს, თუ პარლამენტის დანარჩენი ნაწილი შეცვლის მათ. სახალხო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა საშა ჯიქიამ განაცხადა, რომ „დღემდე ხელისუფლებას არ გააჩნია აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების გეგმა. რაც აქამდე ხდებოდა და ხდება, არის გენოციდის გაგრძელება ქართველთა მიმართ. საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან კი, ეს არაკეთილშობილური დამოკიდებულებაა და დანაშაული". ყველა მოშიმშილე აღშფოთებას გამოთქვამდა რუსეთის ტელევიზიის ცინიკური და ცილით სავსე გადაცემის გამო მათ შესახებ. საკითხი წამოიჭრა დესტაბილიზაციის ფაქტორის შესახებ. ბორის კაკუბავამ თქვა, რომ მათ არ სურთ დესტაბილიზაცია, რადგან ასეთ პირობებში აფხაზეთში დაბრუნება არ მოხდება. მაგრამ მათი სამართლიანი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შეიძლება თბილისში ლტოლვილთა მასიური ჩამოსვლა გამოიწვიოს და მაშინ პროცესებს ვერც მოშიმშილეები და ვერც ხელისუფლება ვეღარ მართავს. ამიტომ მოთხოვნა, სამშვიდობო ჯარების გაყვანის შესახებ უნდა შესრულდეს, თუ არ შეასრულებს ამას ხელისუფლება, ესე იგი, მას სურს დესტაბილიზაცია ქვეყანაში".

პრესკონფერენციის შემდეგ მოშიმშილეები ექიმებმა შეამოწმეს. მათი დაჟინებული მოთხოვნით, საშა ჯიქიამ და არნოლდ ფენდერავამ შიმშილობა შეწყვიტეს, მაგრამ აქციაში მონაწილეობას იღებენ. აქციაში მონაწილეობენ აგრეთვე თორნიკე ფიფია, ჯემალ საჯაია და დავით ინჯია, მაგრამ არ შიმშილობენ, რადგან მათ დაკისრებული აქვთ მოშიმშილეთა მოთხოვნები დაიცვან სხვადასხვა სახელისუფლო დონეზე.

1. გერმანე ფაცაცია – ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარე. სამგზის დეპუტატი. დაიბადა 1951 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბაში. პროფესიით ფილოსოფოსია. მუშაობდა თსუ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, არის ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

2. ბორის კაკუბავა – აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარე. ორგზის დეპუტატი – დაიბადა 1939 წელს ქგალში. პროფესიით სწავლული ზოოტექნიკოსია. 1979 წლიდან 1988 წლამდე პოლიტპატიმარი იყო. არის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი 1988 წლიდან. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი: ერთი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი. ასევე, ჯერჯერობით, 2 შვილიშვილი.

3. გენო კალანდია – პოეტი. აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე. ღირსების ორდენის კავალერი. 30 პოეტური და დრამატული კრებულის ავტორი. დაიბადა ქზუგდიდში 1946 წელს. ცხოვრობდა სოხუმში. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი, ჯერჯერობით ერთი შვილიშვილი, დაჩი.

4. ვახტანგ ყოლბაია – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.ორი მოწვევის დეპუტატი. იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (არძინბას მოადგილე), გალის აღმასკომის თავმჯდომარე და გალის რაიკომის მდივანი. პროფესიით ეკონომისტია. დაიბადა 1952 წლის 9 სექტემბერს ქგალში. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი, ასევე შვილიშვილი– თამუნა ინალიშვილი.

5. მალხაზ ბარამიძე – დაიბადა 1935 წელს. პროფესიით არქეოლოგია. მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სოხუმის უნივერსიტეტში. პროფესორია. არის დემოკრატიული პარტიის წევრი. ჰყავს მეუღლე, ვაჟიშვილი და ერთი შვილიშვილი.

6. გია გვაზავა – აფხაზეთის მწვანეთა მოძრაობის თავმჯდომარე. სოხუმის უნივერსიტეტის დოცენტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა 1952 წელს სოხუმში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

7. იგორ კეკუა – პროფესიით იურისტია. მუშაობდა აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს წევრად, იყო აფხაზეთის გენერალური პროკურორის უფროსი თანაშემწე. დაბადებულია 1935 წელს ქგალში. არის მოქალაქეთა კავშირის წევრი. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

8. ანზორ წოწონავა – აქვს როგორც იურიდიული, ასევე ტექნიკური განათლება. იურიდიულ მეცნიერებათა დოცენტი, არის 32 მეცნიერული ნაშრომის ავტორი. იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსი, გულრიფშის რაიონის პოლიციის უფროსი, სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე. 2 მოწვევის პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟიშვილი და შვილიშვილი გიორგი.

9. ალექსანდრე (საშა) ჯიქია – მწერალი, 6 რომანის, რამდენიმე მოთხრობის და ლექსების კრებულის ავტორი. ეროვნულ-დემოკრატიული

გაგრძელება მე–3 გვ

## დაიწყო სასამართლო პროცესი „ბორჯომის ხეობაში" მომხდარი მკვლელობის გამო

6 მარტს უზენაეს სასამართლოში მოსამართლე იური ტაბუცაძის თავმჯდომარეობით, ე.წ. „ბორჯომის საქმის" სასამართლო პროცესის პირველი სხდომა გაიმართა. განსასჯელის სკამზე „მხედრიონელები" ისხდნენ:თამაზ კურტანიძე, გიორგი იობაშვილი, მიხეილ სამსონაშვილი, დავით გელაშვილი, არტიო მზიტარიშვილი, გიორგი პეტრიაშვილი. მათ ბრალად ედებათ ბანდიტიზმი, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა და მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1994 წლის ნოემბერში, გავლენათა სფეროების გაყოფის გამო, ბორჯომის რაიონში „მხედრიონელებმა" გადაწყვიტეს ბოლო მოეღოთ რეგიონალური ბატალიონის ხელმძღვანელ ივერი მაღრაძისათვის. 11 ნოემბერს ბანდის წევრები ბორჯომიდან ბაკურიანში მიმავალ საავტომობილო გზაზე ჩასაფრდნენ, შეიარაღებული იყვნენ ვინჩესტერით, კალაშნიკოვის სისტემის ავტომატით და სანადირო თოფით. მაგრამ იმ დღეს მაღრაძეს არ გაუვლია ამ გზაზე. 12 ნოემბერს ისინი ისევ ამ გზაზე დაელოდნენ მაღრაძეს. ამ დღეს აღნიშნულ გზაზე გამოემგზავრა დავით ბუხრიკიძე, რომლის მანქანაში მის გარდა მცირეწლოვანი ბავშვები ისხდნენ. „მხედრიონელებმა" ესროლეს მანქანას (რადგან ბუხრიკიძის მანქანა ისეთივე იყო, როგორიც მაღრაძის), რის შედეგადაც მძიმედ დაჭრეს ორი მცირეწლოვანი ბავშვი.1994 წლის 20–21 ნოემბერს მათ სისრულეში მოიყვანეს თავიანთი ჩანაფიქრი, „ბორჯომის ხეობის" კონცერნის ოფისში პისტოლეტით მოკლეს – ივერი მაღრაძე და მასთან ერთად ედუარდ აკოპიანი, ვახტანგ ტუხიშვილი, ზაირა დარბაიშვილი და ნინო კანტიძე.

მოკლულთა ტანსაცმელი და პირადი ნივთები ბორჯომის კომპოზიტორთა სახლის პანსიონატის ტერიტორიაზე, ტყეში დამარხეს. მანქანა, რომელიც ედუარდ აკოპიანს ეკუთვნოდა, გადამალეს ხაშურის რ–ში. ცხედრები კი გაიტაცეს „უაზ"–ის მარკის ავტომანქანით და ჩაყარეს ავტოსაწარმო „ტვირთშენტრანს"–ის ტერიტორიაზე განლაგებულ საწვავის ცისტერნებში.

სასამართლო პროცესი 11 მარტისათვის გადაიდო, რადგან აღნიშნულ სხდომაზე განსასჯელებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ვინაიდან თავს დამნაშავედ არ ცნობენ, ამიტომ არ გაეცვნენ საბრალდებო დასკვნას, რაზეც მოსამართლე ტაბუცაძემ 206 მუხლის გათვალისწინებით მათ 3 დღის ვადა მისცა და ბრძანა, რომ განსასჯელები აუცილებლად უნდა გაეცნონ საბრალდებო დასკვნას.

ია ბუკოვსკაია

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

## ვბეჭდავთ 50 და 50-ზე ნაკლებ რიცხვიან გვარებს, ანბანის მიხედვით.

# ა

1. აბალოიძე 42 (ახმეტა – 33; თბილისი 2; თელავი – 7).

2. აბდულაშვილი 40 (თბილისი – 17; თელავი – 16; ახმეტა – 1).

3. აბდუშელიძე 47 (ბათუმი – 2; ოზურგეთი – 1; საგარეჯო – 1).

4. აბეწაშვილი 44 (ლაგოდეხი – 5; თბილისი – 3; გორი – 1).

5. აბისონაშვილი – 24 (გორი – 21; დუშეთი – 1; თბილისი – 2).

6. აბსანაძე 27 (თბილისი – 20; ვანი – 4; ზუგდიდი – 1).

7. აბსანიძე 35 (თბილისი – 10; ფოთი – 9; ზუგდიდი – 7).

8. აბსარიძე 27 (ფოთი – 27).

9. აბულიძე 43 (ახმეტა – 38; თელავი – 2; თბილისი – 1

10. ადომლიშვილი – 26 (თბილისი – 8; ყვარელი – 19).

11. ადოშვილი 26 (რუსთავი – 7; ადიგენი – 3; თელავი – 2).

12. ავბეწაშვილი 29 (გორი – 3; გურჯაანი – 3; თელავი – 23).

13. ავგაროზიშვილი 27 (თბილისი – 5; თელავი – 2; ყვარელი – 20);

14. ავგროზაშვილი 37 (თეთრიწყარო – 28; თბილისი – 4; რუსთავი – 5).

15. ავკოფაშვილი 36 (თბილისი – 19; ბოლნისი – 10; რუსთავი – 7).

16. აზაურაშვილი 23 (თბილისი – 23).

17. აზნაურიძე 28 (ბათუმი – 4; ხელვაჩაური – 24).

18. ათანაშვილი 35 (გურჯაანი – 13; თბილისი – 13; თეთრიწყარო – 1).

19. ათანელაშვილი – 39 (თბილისი – 21; ლაგოდეხი – 6; დედოფლისწყარო – 3).

20. ათაქიშვილი – 44 (თბილისი – 11; თელავი – 1; ყვარელი – 32).

21. ათენაშვილი – 29 (ახალციხე – 18; თბილისი – 11).

22. ათუნაშვილი – 45 (ახალციხე – 31; ლანჩხუთი – 4; გორი – 3).

23. აიდარაშვილი – 46 (თბილისი – 35; რუსთავი – 5; დედოფლისწყარო – 4).

24. აკიმორჩიშვილი – 22 (გურჯაანი – 22).

25. აკობაშვილი – 24 (თბილისი – 17; დმანისი – 5; მცხეთა – 1).

26. აკოშვილი – 20 (ახალციხე – 12; თბილისი – 8).

27. აკულაშვილი – 28 (გორი – 1; თბილისი – 27).

28. ალავერდიშვილი – 27 (თბილისი – 12; გორი – 6; მცხეთა – 5).

29. ალალაშვილი – 24 (თბილისი – 15; სიღნაღი – 8; ქუთაისი – 1).

30. ალანიძე – 42 (მარტვილი – 26; თბილისი – 5; ზუგდიდი – 4).

31. ალეიშვილი – 21 (ბათუმი – 5; თბილისი – 5; ოზურგეთი – 5).

32. ალექსანაშვილი – 30 (ახმეტა – 24; თბილისი – 5; თელავი – 1).

33. ალიმბერაშვილი – 26 (თბილისი – 13; გორი – 6; გარდაბანი – 3).

34. ალიქაძე– 27 (ბათუმი – 17; ხელვაჩაური – 10).

35. ალმაშვილი – 39 (ზუგდიდი – 22; ბორჯომი – 8; ფოთი – 3).

36. ალუაშვილი – 34 (თბილისი – 18; გორი – 11; გურჯაანი – 1).

37. ალხიძე – 34 (ონი – 13; თბილისი – 10; გარდაბანი – 5).

38. ამანათიძე – 35 (თბილისი – 18; მცხეთა – 17).

39. ამანაძე – 38 (აბაშა – 20; მარტვილი – 7; ხობი – 6).

40. ამბიძე – 36 (თბილისი – 35; კასპი – 1).

41. ამბროსაშვილი – 47 (თბილისი – 21; გორი – 13; კასპი – 10).

42. ამბროსიძე – 42 (თბილისი – 7; ბოლნისი – 1; თელავი – 34).

43. ამზაშვილი – 20 (თბილისი – 13; თელავი – 4; ყვარელი – 3).

44. ამირაძე – 33 (თბილისი – 15; გურჯაანი – 13; ახალციხე – 1).

45. ამისაშვილი – 21 (გურჯაანი – 20; თბილისი – 1).

46. ამოზაშვილი – 37 (თბილისი – 10; თელავი – 4; გურჯაანი – 3).

47. ამრაზიშვილი – 37 (თბილისი – 3; რუსთავი – 2; გურჯაანი– 1).

48. ამშიკაშვილი – 50 (თბილისი – 17; ონი – 16; ლანჩხუთი – 6).

49. ანდალაშვილი – 29 (ახმეტა – 25; თბილისი – 4).

50. ანდრაზაშვილი – 25 (თბილისი – 19; რუსთავი – 2; გორი – 1).

51. ანთაიძე – 38 (ახმეტა – 21; თბილისი – 3; გარდაბანი – 1).

52. ანიკაშვილი – 24 (გორი – 5; ზუგდიდი – 2; თბილისი – 17).

53. ანტოშვილი – 20 (გურჯაანი – 1; თბილისი – 19).

54. ანუშიძე – 39 (ბათუმი – 7; ქობულეთი – 1; ხელვაჩაური – 31).

55. ანცარიძე – 33 (ქარელი – 15; თბილისი – 10; გორი – 7).

56. აპრილაშვილი – 44 (თბილისი – 15; ახმეტა – 11; თიანეთი – 5).

57. არაგვიშვილი – 35 (გარდაბანი – 19; თბილისი – 16).

58. არავაძე – 34 (გურჯაანი – 14; თელავი – 20).

59. არაზაშვილი – 26 (თბილისი – 12; ქუთაისი – 9; ხონი – 5).

60. არათანაშვილი – 45 (დუშეთი – 22; რუსთავი – 6; თბილისი – 5).

61. არაქელაშვილი – 47 (თელავი – 11; თბილისი – 10; კასპი – 5).

62. არბოლაშვილი – 24 (გორი – 9; თბილისი – 8; ბორჯომი – 2).

63. არდიშვილი – 29 (თბილისი – 15; ქუთაისი – 14).

64. არზუმელაშვილი – 21 (თბილისი – 11: თეთრიწყარო – 5; ლაგოდეხი – 1).

65. ართმელიძე – 39 (ასპინძა – 17; ჩოხატაური – 17; თბილისი – 1).

66. არეშიშვილი – 26 (თბილისი – 19; რუსთავი – 1).

67. არმაზაშვილი – 20 (ახმეტა – 19; საგარეჯო – 1).

68. არმეგონაშვილი – 38 (მცხეთა – 37; საგარეჯო – 1).

69. არსანიძე – 36 (ბორჯომი – 8; ამბროლაური – 6; გორი – 3).

70. არსენაიძე – 25 (საჩხერე – 25).

71. არსიაშვილი – 47 (თბილისი – 36; კასპი – 9; საგარეჯო – 2).

72. არტემაშვილი – 30 (დუშეთი – 15; თბილისი – 12; მცხეთა – 1).

73. არტემიძე – 31 (თბილისი – 17; თეთრიწყარო – 13; რუსთავი – 1).

74. არუდაშვილი – 23 (თბილისი – 16; თელავი – 7).

75. არღანაშვილი – 22 (თბილისი – 19; ქუთაისი – 3).

76. არღუნაშვილი – 32 (თბილისი – 8; გორი – 1; რუსთავი – 1).

77. არშაულიძე – 37 (ახმეტა – 31; თელავი – 6).

78. არჩევნიშვილი – 27 (გურჯაანი – 27).

79. არხოზაშვილი – 32 (გორი – 20; კასპი – 7; ბორჯომი – 3).

80. არჯავანიძე – 30 (სენაკი – 8; წყალტუბო – 7; თბილისი – 6).

81. არჯაკელი – 25 (გარდაბანი – 14; თბილისი – 11).

82. ასეიშვილი – 35 (თბილისი – 11; ბათუმი – 8; რუსთავი– 8).

83. ასთავიშვილი – 37 (თბილისი – 11; გორი – 1; რუსთავი – 1).

84. ასლანაძე – 28 (თბილისი – 8; თერჯოლა 8; ქუთაისი – 5).

85. ასლიშვილი – 25 (გურჯაანი – 22; თბილისი – 3).

86. ასპოშვილი – 30 (გურჯაანი – 29; თბილისი – 1).

87. ასრაკაძე – 26 (თბილისი – 16; გარდაბანი – 5; თეთრიწყარო – 4).

88. ასრატაშვილი – 22 (თბილისი – 11; რუსთავი – 11).

89. აფთარაული – 40 (ახმეტა – 27; თელავი – 6; გურჯაანი – 3).

გაგრძელება მე-8 გვ.

# დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

მეორე გვერდიდან

პარტიის დამფუძნებელი წევრი. 1989 წელს ჩამოაყალიბა აფხაზეთის ედპ-ს რეგიონალური განყოფილება. დაიბადა 1918 წლის 31 მაისს სოხუმის რ-ნის სოფ.მერხეულში. როგორც დისიდენტ მწერალს, მინიჭებული აქვს გერმან ჰემენტის სახელობის პრემია. ერთადერთი ქალიშვილი დაეღუპა აფხაზეთის დაცემის შემდეგ სვანეთის უღელტეხილზე.

10. არნოლდ ფენდერავა – ინჟინერ-აგრომეტეოროლოგია. დაიბადა ჭოჩამჩირეში 1942 წელს. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

6 მარტს, მოშიმშილეებს, საწოლი ადგილი დარბაზისაგან ცისფერი ხავერდის ფარდებით გამოუყვეს. მის წინ ცარიელი პოსტამენტია, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დროს ლენინის თავი ამშვენებდა. მოშიმშილეები ხუმრობენ, რომ მაღალი რანგის მნახველებმა ამ პოსტამენტიდან უნდა მიმართონ სიტყვით დეპუტატებს. მაგრამ ჩემი იქ ყოფნის დროს ეს პროცედურა არც ბაკურ გულუასთვის და არც ვალერი ვაშაკიძისათვის არ შეუთავაზებიათ.

როგორც ამბობენ, მათ სანახავად ჩამოდის სერგეი კოვალიოვი, რომელიც ასევე გაეცნობა საქართველოში პენიტენციალური სისტემის მდგომარეობას, მოინახულებს პოლიტპატიმრებს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავკაცებს.

ფრაქცია „აფხაზეთის“ პრესცენტრმა მოშიმშილეთა მიმართვა გაავრცელა მსოფლიოს ყველა ქვეყნის საელჩოებსა და წარმომადგენლობებში; ასევე გაეროს, ევროთათბირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორც თბილისში, ასევე მათ შტაბ-ბინებში.

საღამოს, მოშიმშილე დეპუტატებს რადიოხაზი გაუყვანეს, რათა ტელევიზიის გამორთვის დროს, შეუფერხებლად მიიღონ ინფორმაცია.

## შიმშილობის მე-6 დღე, 7 მარტი, პარასკევი.

მოშიმშილეებთან მხარდამჭერი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვიზიტი და განცხადებების გადაცემა მთელი დღის განმავლობაში არ წყდება. პარლამენტის დილის სხდომაზე ავთო ტყებუჩავამ კიდევ ერთხელ მოთხოვა პარლამენტს ემსჯელა ფრაქცია „აფხაზეთის“ შიმშილობის აქციისა და მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე. მაგრამ პარლამენტის წევრებს რეაქცია არ ჰქონიათ და ისევ გააგრძელეს კანონშემოქმედებითი მუშაობა. მოშიმშილეებთან შესვენებაზე მისულ დეპუტატებს კი საყვედურები დახვდა. ბორის კაკუბავამ უთხრა, რომ სჯობს მათთან არ მოსულიყვნენ, რადგან ისინი არაფერს წყვეტენ სახალხოდ. გერმანე ფაცაციამ ხუმრობით კითხვა დასვა: „რატომ არიან დეპუტატები ცალ-ცალკე გენიოსები და კარგი ხალხი, ხოლო პარლამენტი მთლიანად დებილი?“

საღამოს 6 საათზე ვახტანგ რჩეულიშვილმა მოშიმშილეებთან რუსეთის დუმის თავმჯდომარე მიხეილ გუცერიევი მოიყვანა. თავიდან შეხვედრა ჩვეულებრივ დაიწყო და გუცერიევმა უთხრა მოშიმშილეებს, რომ მათთან შეხვედრის შესახებ აცნობებდა რუსეთის დუმას. გერმანე ფაცაციამ რუსეთს ქვეყნის ქათილგონიერებისკენ მოუწოდა. სტუმარი უხერხულ მდგომარეობაში იყო და ერთი სული ჰქონდა აქაურობას გასცლოდა, ამიტომ ჩვეულებრივი ხერხი იხმარა და თვითონ გადავიდა შეტევაზე: „რატომ გვიწოდებთ ოკუპანტებს? აქ მე ვისაც კი შევხვდი, ყველა ითხოვს რუსეთთან მჭიდრო ინტეგრაციას. მთხოვენ ერთობლივ გზას, ეკონომიკურ კავშირებს, კულტურულ გაცვლებს, საქართველოს პატრიარქმა დაგვლოცა, როგორც ერთმორწმუნე ხალხი, თქვენ კი აქ ოკუპანტებს გვეძახით“. გერმანე ფაცაციამ უპასუხა: აბა რა დაგიძახოთ, როდესაც ოკუპანტები და გენოციდის ხელშემწყობები ხართ? თქვენ, როგორც თქვით, არავითარი რწმუნებები არ გაგაჩნიათ და მხოლოდ ინფორმაციას გადასცემთ რუსეთის სახელმწიფო დუმას მაშინ გადაეცით, გონს მოეგეთ, თორემ აქ უარესი აგიტყდებათ, ვიდრე ჩეჩნეთში.

გუცერიევმა ბრჭყალები გამოაჩინა და თქვა, აფხაზეთს თავისი განვითარების გზა აქვს, თქვენ მონოლოგი კი არ უნდა აწარმოოთ მათთან, არამედ დიალოგი გამართოთ. არსებობს ლტოლვილთა პრობლემა და ეს უნდა გადაწყდეს. პასუხად ბორის კაკუბავამ უთხრა: „აქ ლტოლვილთა პრობლემა არ არის მხოლოდ, არის ტერიტორია, რომლის ოკუპაცია თქვენ მოახდინეთ და იგი უნდა დაბრუნდეს. აფხაზეთის ტერიტორიიდან უნდა გაიდეს არა მხოლოდ სამშვიდობო კონტიგენტი, არამედ უნდა დატოვოთ ბომბორას აეროპორტი და სხვა წერტილები, სადაც განლაგებულია თქვენი ჯარი. რაც შეეხება მონოლოგს, ჩეჩნეთში თქვენ მონოლოგით შეხვედით და რა წაიღეთ, ყველასთვის ცნობილია“. გუცერიევს ღიმილი შეეყინა პირზე და შეურაცხყოფაზე გადავიდა: „რა ლაპარაკია ეს, სად ვზივართ? იუპიტერები ანთია, რეპორტიორები იღებენ, თავი ცირკში მგონია“. ამის პატიება კი მართლაც ძნელი იყო და ბორის კაკუბავამ უთხრა: „მიბრძანდით, ჩვენ დავამთავრეთ საუბარი“. გერმანე ფაცაცია წამოენთო: „ისედაც ბევრი დრო დაგითმეთ ოკუპანტის ემისარსო“... სტუმარმა საწადელს მიაღწია და თეატრალური ღიმილით დასტოვა სცენა: „აკი ამბობდნენ, ქართველები სტუმართმოყვარე ხალხიაო?“ გერმანე ფაცაცია ძლივს დააკავეს მეგობრებმა, ჟურნალისტებს კი გუცერიევმა მუქარით უთხრა: „ტოტალიტარულ ქვეყანაში ეს მოშიმშილეები ყველა დასაჭერიაო“.

რაც შეეხება სტუმართმოყვარეობას, გუცერიევი ამის ნაკლებობას აქ ნამდვილად არ განიცდის. დღეს საღამოსაც პრეზიდენტის რეზიდენციაში მეფური ვახშამი ელის და რამდენ კოჭს გაუგორებენ კიდევ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, რამდენ წითელ ხალიჩას დაუფენენ ქედმოხრილი ლაქუცით, რა ჩვენი დასათვლელია?

**მანანა იაშვილი**

*აშშ-ს კონგრესს, გფრ-ს ბუნდესტაგს, ინგლისის პარლამენტს, საფრანგეთის ეროვნულ კრებას, უკრაინის პარლამენტს, ლიტვის სეიმს, ლატვიის პარლამენტს, ესტონეთის პარლამენტს, თურქეთის მილი მეჯლისს, აზერბაიჯანის მილი მეჯლისს*

**80- იანი** წლების მეორე ნახევარში რუსეთის საბჭოთა იმპერიამ ტრანსფორმაცია დაიწყო, რაც მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებთან კოლონიურად ნეოკოლონიურ ურთიერთობებზე გადასვლას გულისხმობდა. მაგრამ ყოფილი სსრკ-ს ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ რუსეთის ნეოიმპერიულ მომავალზე მეოცნებე ძალები ცენტრიდანულ ტენდენციებს ვერ გაუმკლავდნენ. ამიტომ ჩაირთო პროცესების მართვის იმპერიული მეთოდი – „დაყავი და იბატონე“.

მოქმედების აღნიშნულ მოდელში თავსდება რუსეთის მიერ ინსპირირებული ე.წ. ეროვნებათაშორისი კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში. სწორედ ამან განაპირობა ე.წ. თურქი მესხების ტრაგედია ფერღანაში, რომელიც უპირველესად საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. აზერბაიჯანისა და მოლდოვის ხალხების თავისუფლებისაკენ სწრაფვას ყარაბაღის, დნესტრისპირეთისა და გაგაუზების პრობლემები გადაუღობეს წინ. ამ მისწრაფებისათვის დაისაჯა 1989 წლის 9 აპრილს ქართველი ერი, სწორედ ამიტომ დაუპირისპირეს ქართველებს ოსები და საქართველოს წაართვეს ჩრდილო ქართლი (ცხინვალის რეგიონი).

1993 წლის სექტემბრის ბოლოს თითქმის 13 თვიანი ბრძოლების შემდეგ რუსეთმა საქართველოსათვის თავსმოხვეული „აფხაზურ-ქართულ“ კონფლიქტად წოდებული ომის შედეგად მისი კიდევ ერთი კუთხის – აფხაზეთის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია მოახდინა. თუ ადრე რუსეთი ერიდებოდა კონფლიქტებში ღიად მონაწილეობას, აფხაზეთში დაუფარავად იბრძოდნენ მისი რეგულარული ჯარის ნაწილები. მთელი საომარი მოქმედებების პერიოდში და სოხუმის დაცემის შემდეგაც განსაკუთრებული სისასტიკით ხორციელდებოდა მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის გენოციდი, რომელსაც შეეწირა 30 ათასამდე ადამიანი. ეთნიკურ წმენდაში მოჰყვნენ ებრაელები, ბერძნები და სხვა ეროვნების წარმომადგენლნი. ოკუპირებული აფხაზეთიდან და ჩრდილო ქართლიდან განდევნილია 400 ათასზე მეტი ქართველი. აღნიშნულ ფაქტებს შესაბამისი შეფასება მიეცა 1996 წლის დეკემბრის ეუთო-ს ლისაბონის სამიტზე.

კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების განლაგების შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გენოციდი გაგრძელდა. აღნიშნული კონტიგენტის ჩაყენების შემდეგ მხოლოდ გალის რაიონში ეთნიკურ ნიადაგზე მოკლულია 1300-მდე მშვიდობიანი ქართველი.

უკვე მეოთხე წელია საქართველოს ხელისუფლება სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა შემადგენლობით მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით ცდილობს მოაგვაროს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. ამ მიზნით გაეროს, ეუთოს, დსთ-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით გამართა მოლაპარაკებათა ათეულობით რაუნდი, მაგრამ რუსეთის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო პროცესი ადგილიდან არ იძვრის და უკვე ჩიხშია შესული.

შექმნილ უმძიმეს ვითარებაში, როცა დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ოთხასი ათასი ადამიანი დევნილია მისსავე სამშობლოში, რუსეთის ფედერაციის ჯარები აფხაზეთისა და ჩრდილო ქართლის სეპარატისტული, დამნაშავე რეჟიმების დამცველად გვევლინებიან. ამიტომ საქართველოს პარლამენტის აფხაზეთიდან არჩეულმა დეპუტატებმა (ფრაქცია „აფხაზეთი“) ა.წ. 2 მარტს გამოაცხადეს უვადო სასიკვდილო შიმშილობა შემდეგი მოთხოვნით: „ე.წ. სამშვიდობო ძალებმა და რუსეთის სამხედრო შენაერთებმა უპირობოდ დასტოვონ ოკუპირებული ტერიტორიები“.

მოშიმშილე დეპუტატები მოვითხოვთ შეწყდეს რუსეთის უხეში ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში და დაიცვას საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის, მათი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის, საზღვრების ურღვეობის შესახებ. ამის უპირველესი პირობა კი აფხაზეთისა და ჩრდილო ქართლის დეოკუპაცია გახლავთ.

მოგმართავთ თხოვნით, ა.წ. 15 მარტამდე გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება ჩვენს მიერ დაყენებული მოთხოვნებისადმი. სასურველი იქნებოდა აგრეთვე თქვენი წარმომადგენლების ვიზიტი თბილისში აქციის მონაწილეებთან და ხელმძღვანელ შტაბთან შესახვედრად.

# საქართველოს კავკასიური პოლიტიკა, როგორი არის იგი და როგორი უნდა იყოს?

ნოდარ ნათაძე

ცნობილია, რომ მსოფლიო ხმელეთის ცენტრი – შუა აზია – დღეს მსოფლიოს ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესის ერთ-ერთი ცენტრიც ხდება. იგი ერთვება მსოფლიოს ეკონომიკურ და სტრატეგიულ სისტემაში როგორც ერთ-ერთი ძირითადი რეზერვი და, შესაბამისად, როგორც ერთ-ერთი დიდი დამრტყმელი ძალა იმის ხელში, ვის მხარეზეც იგი იქნება – ობიექტურად, სუბიექტურად ან ობიექტურადაც და სუბიექტურადაც. მსოფლიოს ინტერესმა ამ ზონისადმი და მასთან მისასვლელი გზებისადმი *უკვე გადაძალა რუსეთის დაინტერესება თავისი მასშტაბურობითაც და ხარისხობრივადაც.* ამის ვერდანახვა თუმც კი გასაგებია ფსიქოლოგიურად (ამ იმპერიის ყოვლისშემძლეობის რწმენისადმი ორსაუკუნოვანი მიჩვევის გამო), მაგრამ მაინც სიბრმავეა. ჩვენი მოვალეობაა ჩვენი შთამომავლობის წინაშე, ფაქტები ისე დავინახოთ, როგორც არის, და სათანადო პრაქტიკული დასკვნები გავაკეთოთ.

ერთი ამ დასკვნათაგანი ეხება საქართველოს პოლიტიკას კავკასიაში – ჩვენს სამშობლოში და ჩვენს აწ და მარად საარსებო სივრცეში, რომელიც ღმერთმა ერთხელ და სამუდამოდ გვარგუნა. ხაზი მინდა გავუსვა: ის, რომ საქართველოს პოლიტიკური სიბრძნის და პოლიტიკური ნამუსის (ვიხმაროთ ეს სიტყვაც!) პირველი სასინჯი ქვა და პირველი განმსახიერებელია ჩვენი სწორედ კავკასიური პოლიტიკის სწორად მართვის უნარიანობა, არაა დამოკიდებული იმ ახალ გეოპოლიტიკურ ფაქტორზე, რომელიც ახლა ვახსენე. ეს მსჯელობა ძალაში იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, შუა აზია რომ არაფრით საინტერესო არ ყოფილიყო. შუა აზიის, როგორც გეოპოლიტიკური ფაქტორის, აქტუალიზაცია თანამედროვე მსოფლიოსათვის მხოლოდ ერთი *დამატებითი* სტიმულია იმისა, რომ კავკასიის ერთობლივი რაობა და საერთო ინტერესები კარგად დავინახოთ, და მე ამ ფაქტორს მხოლოდ იმ მიზნით გამოვყოფ ხაზგასმით, რომ იმ ზემოხსენებულ ურწმუნო ადამიანებს დავეხმარო, რომელთაც თვალწინ დებული ფაქტების დანახვა უჭირთ.

„კავკასიური დერეფნის" თემაზე ბევრი იწერება და არ გავიმეორებ იმას, რაც მკითხველს კარგად მოეხსენება, ეს ის გზაა შუა აზიასა და დანარჩენ ეკონომიკურ მსოფლიოს შორის, რომელიც მსოფლიოს გაბატონებულმა და მმართველმა ძალებმა **უკვე** აირჩიეს ჩინეთის, პაკისტანის და რუსეთის გზების წინაშე მისთვის უპირატესობის მინიჭებით). ნავთიც ამ გზით იდენს (რათა ნავთის მსოფლიო ფასები დასტაბილოს და ინდუსტრიული ქვეყნები ახალი ხელოვნური ენერგეტიკული კრიზისებისაგან დაიცვას), ბამბაც და აურაცხელი სხვა ნაწარმიც, რითაც შუა აზია მსოფლიო ბაზარში გავა. შესაბამისად, შუა აზიისკენ მიმავალი ტვირთებიც ამ დერეფნით იმოძრავებს.

კავკასიასა და მის მიმდგომ ზონაში დასავლეთ-აღმოსავლეთის მაგისტრალური გზის განლაგების რამდენიმე ვარიანტია შესაძლებელი და, შესაბამისად, რამდენიმე **პარალელური** ვარიანტიც. მეტ-ნაკლები დატვირთვით თითოზე. ესენია (მეტ-ნაკლები პირობითი წარმოდგენით):

ა) კავკასიის მთავარი ქედის პარალელურად, მის უშუალო სიახლოვეში, სამხრეთი მხრიდან (აზერბაიჯანი-საქართველო). ეს ყველაზე უფრო მოკლე და გეოგრაფიულად (რელიეფით) მარტივი გზაა.

ბ) ქედის პარალელურად, მის უშუალო სიახლოვეში, ჩრდილოეთის მხრიდან (დაახლოებით მახაჩყალა-ტუაფსეს ხაზი). იგი სამხრეთისაზე ცოტა უფრო გრძელია და გეოგრაფიულად ცოტა უფრო რთული.

გ) ქედის პარალელურად, მისგან მოშორებით, სამხრეთ მხარეს (დაახლოებით, ირანითა და თურქეთით ხმელთაშუა ზღვისკენ). ეს გზა გეოგრაფიულად აზერბაიჯან-საქართველოზე უფრო რთულია და სახმელეთო ნაწილში უფრო გრძელი. მისი მთავარი მინუსია იმის შესაძლებლობა, რომ კვლავ იფეთქებს ირან-თურანის (ირანული და თურქული მოდგმის) ის კლასიკური დაპირისპირება, რომელსაც თავის დროზე ფირდოუსმა უმღერა. ეს შესაძლებლობა ეფუძნება, ერთის მხრივ, მიახლოებით პარიტეტს (თანასწორობას) მხარეთა პოტენციალს შორის (ადამიანური რესურსებით და სტრატეგიული პოტენციალით) ამ რეგიონში, მეორე მხრივ, მკვეთრი დემოგრაფიული დისბალანსის არსებობას ირანში, რაც მრავალნაირი კონფლიქტების ცდუნებას ქმნის, აგრეთვე ორივე მონაწილის სასიცოცხლო არაეკონომიკურ დაინტერესებას ამ რეგიონში, რომელიც (ეს დაინტერესება) თავისი წონადობით აღემატება საერთო ეკონომიკურ დაინტერესებას დასავლეთისკენ გასვლის საქმით. გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ თურქეთისა და ირანის საკუთრივ ეკონომიკური დაინტერესება ამ გზით თავისი სიძლიერით ვერ აღწევს სასიცოცხლო დაინტერესების დონეს: თურქეთი ზღვაზე გასვლის მხრივ არაფრით შეზღუდული არ არის, ხოლო ირანს სპარსეთის ყურე აქვს. ამგვარად, საკუთარმა კერძო ინტერესებმა (რომლებიც მათ ურთიერთსაპირისპირო აქვთ) შესაძლოა გადაძალოს მათივე ერთობლივ-რეგიონული ინტერესები და, მით უმეტეს, დასავლელი პარტნიორის ინტერესი რეგიონში. მოვლენათა განვითარების ფაქტორად გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეგიონის პოსტკოლონიალისტური განვითარების პროცესში შესაძლებელია მოხდეს თურქობის ზოგადეროვნული აქცენტების გადაადგილება შუა აზიისკენ (რა თქმა უნდა, დასავლეთში საზღვაო ინტერესების შენარჩუნებით).

დ) ქედის პარალელურად, მისგან დაშორებით, ჩრდილოეთის მხრიდან (დაახლოებით ნოვოროსიისკენ, კასპის აწ არსებული და ახალი პორტების გამოყენებით). ეს გზა გეოგრაფიულად მარტივია, თუმცა გრძელია, და მისი ბედი სავსებით დაქვემდებარებულია რუსეთის მიერ კონტროლს. ამგვარად, მისი ფუნქციობა მოხდება არა რეგიონის, შუა აზიის ან დასავლეთის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, არამედ რუსეთის *გეოსტრატეგიული* ინტერესების შესაბამისად.

როგორია ამ ვარიანტთა პერსპექტივა?

დავიწყოთ **ჩრდილოურით** (ნოვოროსიისკით). მისი განხორციელება ნიშნავს რუსული ინტერესების სრულ გამარჯვებას ყველა დანარჩენ ინტერესებზე რეგიონში და იგი შესაძლებელია მხოლოდ ასეთი გამარჯვების შემთხვევაში. ამგვარად, იგი ნაკლებ მოსალოდნელია, თუ გავითვალისწინებთ ამ რეგიონით სხვა მსოფლიო ძალების (რუსეთის მეტოქეების) დაინტერესების ხარისხს (გასათვალისწინებელია, რომ ამ რეგიონის ნავთით მსოფლიოს დაინტერესების პიკი, 50-100 წელი, – საფიქრებელია დაემთხვეს რუსეთის ძლიერების კლების პერიოდს, და არა მისი ზრდისას).

**მეორე ვარიანტი** (ტუაფსესი) აწყდება შესაძლო ტრასის დასავლეთ ნაწილში ავტოხთონური კავკასიური მოსახლეობის არარსებობას, როგორც თავის დაბრკოლებას. აქ განუყოფლად გაბატონებულია რუსული მოსახლეობა, რომელიც ყოველთვის და ყველა პირობებში იხელმძღვანელებს რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესებით და არა რომელიმე სხვით. ეს ინტერესები, როგორც ცნობილია, „დერეფნის" საწინააღმდეგოდაა მიმართული. ეს ვარიანტი რეალური ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ზონიდან თურქეთსა და სხვა რეგიონებში XIX (და ნაწილობრივ XX) საუკუნეში გასახლებული ადგილობრივები („მუჰაჯირები") დაბრუნდებიან თავის ისტორიულ სამშობლოში და მისი მოსახლეობის საგრძნობი ელემენტი გახდებიან. მოვლენათა ამგვარი განვითარების არც თუ მაღალი ალბათობა განაპირობებს ამ ვარიანტის განხორციელების არც თუ მაღალ ალბათობასაც.

*მესამე ვარიანტი* (აზერბაიჯანულ-ქართული) დამოკიდებულია ერთდროულად ორივე პარტნიორის (საქართველოსა და აზერბაიჯანის) კეთილ ნებაზე. ამდენად, მისი სუსტი ადგილია ის შემთხვევა, თუ ერთ-ერთი პარტნიორი მაინც საქმეს განუდგა. საქართველოსთვის არჩევანის პრობლემა *არ არსებობს* (ვინაიდან დერეფანი მისი უალტერნატივო ინტერესია, რომელშიც ეკონომიკური, სტრატეგიული და ყველა მისი მოტივები *ერთმანეთს ემთხვევა*). აზერბაიჯანისთვის კი, მისი უდიდესი ეკონომიკური დაინტერესების ფონზე, მაინც *შეიძლება* არსებობდეს (და, ცხადია, შეიძლება არც არსებობდეს) *სხვა* გეოსტრატეგიული ინტერესიც, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ აზერბაიჯანი თურქულ სამყაროს ეკუთვნის. „დერეფნის" სისტემიდან აზერბაიჯანის თუნდ ძალიან ხანმოკლე გამოთიშვაც კი გამოიწვევს აწყობის პროცესში მყოფი მთელი სისტემის წყვეტას და შექმნის ახალ ენერგეტიკულ კრიზისთა ორგანიზაციის რეალურ შესაძლებლობას. მოვლენათა ამგვარი განვითარების ალბათობათა გათვლისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ რუსულ-თურქული ტრადიციული დაპირისპირება, რომელიც ბოლო სამი საუკუნის მანძილზე მოქმედებს და ომებს შობს, თავისი მასშტაბურობის მიუხედავად მაინც ლოკალურია (კონკრეტულ-ადგილობრივია) თავისი შინაარსით და არა გლობალური. დასავლეთ-აღმოსავლეთის *გლობალურ* ურთიერთდაპირისპირებაში რუსეთსა და დანარჩენ აღმოსავლეთს შორის მოკავშირეობისათვის ბევრად მეტი საფუძველი არსებობს, ვიდრე მათი მეტოქეობისათვის ან კონფლიქტისთვის.

**მეოთხე ვარიანტზე** (ირან-თურქეთისაზე) საუბარი უკვე გვქონდა ზემოთ.

გარკვეულ პოლიტიკურ ძალთა გეგმებში ფიგურირებს **მეხუთე** ვარიანტიც – ჩრდილო კავკასიის სამხრეთი ზონის გამოვლით და ტრასის ბოლოში სამხრეთისკენ, სოხუმისკენ ჩამოხვევით, რომელიც, ამ გეგმით, საქართველოს უნდა ჩამოეგლიჯოს და პორტად იქნას გამოყენებული. ამ გეგმას მხედველობაში აქვს, ცხადია, საქართველოს ჩამოგდება ძალთა ანგარიშიდან და, ამგვარად, იგი საქართველოს ფეხზე დგომის პირობებში შეუძლებელია.

ეკონომიკური განვითარების პერსპექტივათა წინამდებარე განხილვაში, ჩვენ შემთხვევით როდი გავუსვით რამდენჯერმე ხაზი შესაბამისი ტერიტორიების მოსახლეობის *თვითიდენტიფიკაციის* ფაქტორს – იმას, თუ რად მიაჩნია ამ მოსახლეობას თავი ეროვნულად და რომელი ქვეყნის ან ქვეყნების წინაშე გრძნობს იგი ვალდებულებას. ცხადია, რომ გეოპოლიტიკური ბრძოლა გრძელვადიან პერსპექტივაში *წარმატებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა რეგიონის (ქვეყნის) სტაბილური გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები ემთხვევა მისი მოსახლეობის ფუნდამენტურ, ანუ სიღრმისეულ და სტაბილურ თვითიდენტიფიკაციებს* და ამ მოსახლეობის მიერ სხვათა დაყოფას „მტრებად" და „მოყვარეებად". ასეთი ფუნდამენტური თვითიდენტიფიკაცია – საკუთარი თავის აღიარება არა მხოლოდ „ქართველებად", „ჩეჩნებად", „ხუნძებად" (ავარელებად) და ა.შ. არამედ, ამასთანავე, „კავკასიელებად" *დღეს რეალურად არსებობს კავკასიელ ხალხთა შორის,* განსაკუთრებით კი იმათ შორის, ვინც უკვე შეიცნო, თავის დღეს მაცხოვრებელ თაობებში, თავისუფლება, მისთვის ბრძოლის სიტკბო და ვერბრძოლის სიმწარე. შევეცდები დავასაბუთო, კერძოდ, ქართულ-ქისტურ (ინგუშურ)-ჩეჩნური მჭიდრო და სანდო თანამშრომლობის და თანამოსაგრეობის აუცილებლობა და ჩამოვთვალო ის სიკეთე, რასაც იგი მოუტანს კავკასიას საერთოდ.

საქართველოს, ქისტეთისა და ჩეჩნეთის მერიდიანულად ცენტრალური მდგომარეობა კავკასიაში (ღერძი თბილისი – ნაზრანი-გროზნო) საშუალებას აძლევს მათ, *არ დაუშვან* „დერეფნის" ფუნქციობა სხვაგვარად, თუ არა იმ პირობებით, რომლებიც კავკასიისთვის მისაღებია. იგივე ფაქტორი, კავკასიის ქედზე და ქედში გამავალი *საკმარისი* კომუნიკაციების არსებობისა და *საკმარისი* ეკონომიკურ-ტექნიკური დონის მიღწევის პირობებში, საშუალებას აძლევს მას განახორციელონ გარკვეული პოზიტიური პროგრამა და *პოზიტიური* მიზნებიც, სახელდობრ, განავითარონ გარანტირებული (ყველა შემთხვევითობისადმი ალტერნატიული) გზა კასპიიდან შავი ზღვისაკენ, კავკასიის საერთო ინტერესთა შესაბამისად, რომელიც (ეს გზა) მირთვადი იქნება სამხრეთის (აზერბაიჯანი-საქართველო) გზასთან კრიტიკული საჭიროების შემთხვევაში. სახელდობრ, კრიტიკული საჭიროების შემთხვევაში ამ უკანასკნელ გზას შესაძლებელი იქნება მიეცეს ამგვარი სახე: კასპიის ნავთსადგურები – გროზნოაღმოსავლეთი საქართველო – ფოთი. იგივე სატრანსპორტო ყული (ცენტრალური ჩრდილო კავკასია – ცენტრალური ამიერკავკასია) შეიძლება გამოყენებულ იქნას იმისთვისაც, რომ დერეფნის მონაკვეთი „ცენტრალური ჩრდილო კავკასია – შავი ზღვის პორტები" კრიტიკული საჭიროების შემთხვევაში მიუერთოთ ბაქო-თბილისის მაგისტრალს, თუკი დასავლეთი საქართველო დარტყმების ქვეშ აღმოჩნდა *არა ჩრდილოეთის* მიმართულებიდან და თუ დემოგრაფიული და პოლიტიკური სიტუაცია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ხელსაყრელი იქნა (იხ. ზემოთ).

„დერეფნის" ინტერესი, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ ერთ-ერთი ინტერესია კავკასიისათვის და, ალბათ, დროის პერსპექტივაში არც ყველაზე მთავარი. *კავკასიის ცენტრალური ნაწილის მტკიცე ფლობა აძლევს მთელ რიგ სხვა წმინდა სტრატეგიულ უპირატესობებს იმას, ვისაც ჰყავს, კავკასია მის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების ქმედუნარიან სუბიექტად იხილოს.* სახელდობრ, იგი იძლევა სტრატეგიული მანევრირებისა და (პირობითად რომ ვთქვათ) სამხრეთი „ფრონტიდან" ჩრდილოეთ „ფრონტზე" და პირუკუ რეზერვების გადასროლის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ კავკასიაზე თავდასხმა მოახდინა თავისი ძალით შეუდარებლად აღმატებულმა მოწინააღმდეგემ ერთ-ერთი ამ მხრიდან. ანუ იმის შესაძლებლობას, რომ კავკასიის ქედი გამოყენებულ იქნას თავდაცვის გადაულახავ ზღუდედ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, კავკასიონამდე მოგორებული აღმატებული პოტენციური მოწინააღმდეგე – თუნდ სამხრეთიდან იყოს მისი თავდასხმა და თუნდა ჩრდილოეთიდან – *ამით ომს ვერ იგებს.* ომი პოზიტიურ ომად ანუ ხანგრძლივ ომად იქცევა, რაც საშუალებას აძლევს კავკასიელებს მსოფლიო ფაქტორის ამოქმედებამდე მაინც გამაგრდნენ. ამ სტრატეგიის აუცილებელი პირობაა კომუნიკაციათა მაქსიმალური განვითარება კავკასიის ყველაზე საიმედო მერიდიანული ღერძით – ზემოხსენებული თბილისი-ნაზრანი-გროზნო ღერძის მიმართულებით. ეს სტრატეგია, როგორც ჩანს, უნდა ემყარებოდეს *ახალი* გზების გაყვანას კავკასიონზე და კავკასიონში. ვინაიდან ამჟამად უკვე არსებული გზები – ჯვრის უღელტეხილისა და როკისა – სამწუხაროდ, დღეს ვერ ჩაითვლება აბსოლუტურად საიმედოდ მოსახლეობის თავისებური (ალბათ, დროებითი) ანტიკავკასიური განწყობილების გამო. უფრო მეტიც, რუსეთი, როგორც ჩანს, თვითონვე ცდილობს შექმნას *თავისი* სტრატეგიული ღერძი ალაგირი-ცხინვალი იმავე (მაგრამ საპირისპიროდ მიმართული) დანიშნულებით, სახელდობრ, ამ ხაზზე ძალის მაქსიმალური კონცენტრაციის გზით კასპია-შავი ზღვის მაკავშირებელ ყველა სამხრეთი გზისათვის (კავკასიის ტერიტორიაზე) დამუქრების და, უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში, მასზე დარტყმის დანიშნულებით.

ამგვარად, კომუნიკაციების მაქსიმალური განვითარება ზემოხსენებულ მერიდიანულ ხაზზე კავკასიის მომგებიანი სტრატეგიის ერთი პირობაა. მეორეა პირობა (რომელიც, ვიმეორებ, *უკვე* არსებობს) არის კავკასიის ზემოხსენებულ ხალხთა მტკიცე თვითიდენტიფიკაცია *კავკასიელებად,* რომელიც ერთობლივ მოქმედებას ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ საფუძვლად უნდა დაედოს. რა არის და რა შეიძლება იყოს რეალური საფუძველი ერთის მხრივ ქართველების, მეორე მხრივ ვეინახების (ქისტებისა და ჩეჩნების) ამგვარი საერთო-კავკასიური თვითიდენტიფიკაციისათვის, რომელიც *საკმარისად* ძლიერი იქნება, რათა ზემოხსენებული

გაგრძელება მე-6 გვ.

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## ცხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ გრიგალაშვილი

1902 წელს ბედმა მკაცრი და მძიმე გამოცდა მოუწყო დავითს. ისეთი გამოცდა, რომელსაც ვერ ასცდება ვერცერთი პიროვნება, რომელსაც ოფიციალურად დედინაცვლის სამსახური და ერთგულება ევალება, ამ დროს კი დედა ითხოვს შველას, პიროვნება, რომელსაც მტრის ტალავარი აცვია, ამ ტალავარის ქვეშ კი სამშობლოს სიყვარულით ანთებული გული ძგერს.

ეს საშინელი გამოცდა დავით კლდიაშვილის ცხოვრებაში შედგა 1902 წლის 9 მარტს. 9 მარტის წინა დღეებში ბათუმში გაიფიცნენ როტშილდის ქარხნის მუშები. გაფიცვის მეთაურები პოლიციამ დააპატიმრა. აღელვებული ხალხი ციხისაკენ გაემართა და ტუსაღების გამოშვება ითხოვა. ვერავითარი მუქარით მუშები ვერ გაფანტეს, არც მმართველობამ დაიხია უკან. გამოიძახეს ჯარი და მისცეს განკარგულება, მუშებს გარს შემორტყმოდნენ, დაეტუსაღებინათ ყველა. ოთხას კაცზე მეტი დააპატიმრეს და შეყარეს ყაზარმებში. ამ საქციელით მმართველობამ ცეცხლზე ნავთი დაასხა. აურაცხელმა მუშამ თავი მოიყარა და გასწიეს თანამოძმეთა საშველად.

დემონსტრანტებმა გუბერნატორს წაუყენეს მოთხოვნა. მუშებისა და გუბერნატორის დიალოგი ასეთი იყო:

– გაანთავისუფლეთ დაკავებული ჩვენი ამხანაგები... თუ არა და ჩვენც შეგვყარეთ მათთან ამ ყაზარმებში!

– თქვენ რისთვის უნდა დაგაკავოთ?... ტყუილა მოგიყრიათ თავი, გირჩევნიათ დაიშალოთ, – პასუხობს გუბერნატორი.

– ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით, სანამ ჩვენი ამხანაგები დამწყვდეულნი იქნებიან! – იყვირეს მოწინავეებმა. – ჩვენ უნდა მოგვისმინოთ! – შეიქმნა ყიჟინა.

– ილაპარაკეთ რუსულად, – თქვა გუბერნატორმა.

– რუსული არ ვიცით, – წამოიძახა რამდენიმემ, – ტვინი გვერჩევა, სად ვეძიო მე რუსული სიტყვები ჩემი ცეცხლის გამოსათქმელად. – უცნაური ხმით წამოიძახა წინ წამომდგარმა მაღალმა მუშამ – იმ დროს სახელგანთქმული მოჭიდავე. გლდანელის ძმამ. მუშების მოთხოვნით, თარჯიმნად უხმეს დავით კლდიაშვილს, რომელიც ეიმედებოდათ და რომელმაც ზედმიწევნით ზუსტად მოახსენა გუბერნატორს მუშების გასაჭირი და მღელვარების მიზეზი, მაგრამ შეკრებილმა ხალხმა, უიარაღო, მშვიდობიანმა დემონსტრანტებმა მმართველთაგან უსასტიკესი, არაადამიანური პასუხი მიიღეს. გუბერნატორმა გამოიძახა დამატებითი რაზმი და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჯარისკაცებმა სროლა ატეხეს. „საზარელი კივილი, წივილი!.. აირია ყველაფერი! გარბიან გონებადაკარგულები შიშით, ჟლეტენ ერთმანეთს. დაცარიელდა იქაურობა. ქუჩა კი მოფენილია დაჭრილებით, მომაკვდავებით და მოკლულებით. სისხლში გდიან დევი ახალგაზრდები. ზოგი უძრავად, ზოგი სიკვდილს ებრძვის, გულშემზარავი კვნესა დაჭრილების, საზარელი სურათი. – მოიყვანეს ეტლები, დროგები მკვდარი დაჭრილების წასაღებად. სისხლით მოთხვრილ ადგილებს აყრიდნენ მიწას, ეტლების ბორბლებით იზილებოდა ეს ადგილები და საზარელი რამ სანახავი იყო ეს გასისხლიანებული მიწის ცომები“. – ყოველივე ამას აღწერს თვით დავით კლდიაშვილი, თვითმხილველი ამ საზარელი მასობრივი ჟლეტისა. მართალია, იმ რაზმიდან, რომელსაც იგი მეთაურობდა, მისი ბრძანებისამებრ ერთი ტყვიაც არ გავარდნილა, მაგრამ ამით ვერ დაიმშვიდებდა იგი სინდისს. იგი ხომ იმ ჯარში მსახურობდა, იმ გენერლების ქვეშევრდომი იყო, იმათ შორის ცხოვრობდა, ვინც ასე დაუზოგავად, გამეტებით, სიხარულით ესროდნენ და კლავდნენ მუშებს, არა იმის გამო, რომ ისინი გაფიცული და „აბუნტებული“ მუშები იყვნენ, არამედ, პირველ რიგში იმის გამო, რომ ქართველები იყვნენ, საძულველი ქართველები. დავითს თვალწინ დაუხვრიტეს თანამემამულენი და მასაც ხომ მკვლელის მუნდირი ეცვა...

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №19,20,21

განა შეიძლება უფრო მეტად უბედური იყოს ადამიანი. „გულადუღებული, თვალცრემლიანი ვუყვებოდი ჩემს გარშემო შეყრილ ჯგუფს, თუ როგორ მოულოდნელად მოხდა ასეთი საშინელი ამბავი. – აგრძელებს მწერალი თხრობას და იქვე ისეთ რამეს იხსენებს, რითაც მთელი სიგრძესიგანით წარმოგვიდგენს ორ სკამზე მჯდომი ადამიანის ტრაგიკულ ბედს. – ახლა სტირი?! პატიოსანი კაცი რომ ყოფილიყავი, იქ არ იქნებოდი. – მომესმა უკანიდან. ამის მთქმელი ვიღაც დედაკაცი იყო.

ადუღდა გული უარესად.

– შეგაჩვენა გამჩენმა, – მივაყვირე, – მხეცო! შეუბრალებელო! გესმის შენ შენი სიტყვები?

გაგონილმა სიტყვებმა რეტი დამასხა... ჩემი გუნდიდან ტყვია არ გავარდნილა, ათრთოლებული, გონებადაბნელებული, თვალცრემლიანი ვიმეორებდი: შეუბრალებელო, შეუბრალებელო!...

– დაწყნარდი დავით!... ნუ მიიღებთ გულთან ახლოს... არ იცის ეის ეუბნება მაგისთანა სიტყვებს! – მამშვიდებდნენ ჩემთან მდგომნი. მაგრამ გული გადამეტებით დუღდა მწარე სიტყვების გაგონებით.

დიახ რა მინდოდა მე ამ რიგებში? რატომ ვხდები მოწმე ამგვარი საშინელებისა! ამ საზიზღრობისა! ო, რა ტანჯვა გამოვიარე!“

„ო, რა ტანჯვა გამოვიარე“ – ეს სიტყვები არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნებისა. ამ სიტყვებს სხვადასხვა დროს გულმდუღარედ იმეორებდნენ უბედური საქართველოს უბედური შვილები, ამ სიტყვებში იმ თაობის ბედია გაცხადებული, რომელიც მოსისხლედ დამდგარ გადიას ემსახურებოდა. „ო, რა ტანჯვა გამოვიარე“ – ეს რომ არ ეთქვათ, სამშობლოს ტკივილით რომ არ ასტკივებოდათ გული და ამ ატკივებულ გულში დედინაცვლისადმი ბოღმა რომ არ ჩაედოთ, სწორედ ამიტომ იკლავდნენ თავს თვითმპყრობელობის დამქაშები, ამიტომ სურდათ ერთიანად გადაერუსებინათ ყველა არარუსი და ძირიან-ფესვიანად აღმოეფხვრათ მათში ეროვნული შეგნება.

ეს სისხლიანი სიუჟეტი ჯერ არ სრულდება. დამპყრობელი სისასტიკეს ცინიზმით ცვლის. ნაწილის უფროსი დავითთან მიდის და უბრძანებს რაზმი ყაზარმაში სიმღერით წაიყვანოს.

– ეგ შეუძლებელია, – ყვირის სულში ჩაფურთხებული ქართველი ოფიცერი.

– ბრძანება გაქვთ მიღებული... უნდა შეასრულოთ! – მოკლედ პასუხობს გენერალი და შორდება.

დავითი, ცხადია, ბრძანებას არ ასრულებს...

მეორე დღეს კიდევ უფრო დამამცირებელი მითითება. კლდიაშვილს ავალებენ მოხსენებითი ბარათი დაწეროს, თუ რამდენი ჯარისკაცი დაიჭრა მუშების თავდასხმის დროს...

დავითი ველარ უძლებს ამდენ ფარსსა და ბოროტებას და ლოგინად ჩავარდება. მოგვიანებით შეიტყობს, მუშათა დემონსტრაციის დამხვრეტნი დაუჯილდოვებიათ, მსროლელთა მეთაურს კი წმინდა ანას ჯვარი უბოძეს.

9 მარტის ამბებთან დაკავშირებით პეტერბურგში საგანგებო კომისია შეიქმნა. დავითი იმ წელს სწორედ პეტერბურგში იყო მივლინებული კურსებზე. იქ მოღვაწე ქართველ სწავლულებს ყველაფერი დაწვრილებით აღუწერა, მათ შორის ცნობილ იურისტს ლუარსაბ ანდრონიკაშვილს. კომისიის მუშაობამ ის შედეგი გამოიღო, რომ სრულიად უდანაშაულო მუშები ვექილებმა გაამართლეს და მართალ ხალხს საზეიმოდ გაუხდა საქმე იმისათვის, რომ მთავრობამ კატორღაში არ გაამგზავრა...

მუშათა დახვრეტები, ხალხის დაშინება და იარაღის ჟღარუნი ცხოვრების აღფთოს, ავად მღელვარე ტალღებს ვეღარ აკავებდა. იმპერია ინგრეოდა და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ხელისუფლებამ სახელმწიფოს გადარჩენა განიზრახა დამპყრობლური ომის წამოწყებით. დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. პარაკლისები პარაკლისებს ცვლიდა. რუსეთის ყველა სამხედრო ნაწილში მიჰყავდათ მღვდლები და ჯარისკაცებს აგალობებდნენ „ს ნამი ბოგ“, „ს ნამი ბოგ“, მაგრამ ღმერთი მათთან არ იყო. მანჯურიიდან ცხვრებივით გამორეკეს რუსეთის „უძლეველი“ იმპერიის ჯარები, „ვერ უყურებთ ამ „ქონდრისკაცებსო“. – იძახდნენ ცოტა არ იყოს შეცბუნებული პოლიტიკოსები. გაბოროტებულმა მმართველობამ ისევ შინაურებზე იყარა ჯავრი. დაიქცა უამრავი სისხლი, აღიმართა სახრჩობელების ტევრი. ჯავრის საყრელად ჯერ ებრაელები აირჩიეს. დაიწყო ებრაელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. ოდესაში ებრაელებს გამოექომაგა ქართველი სწავლული, დავითის თანასოფლელი და ნათესავი საბა კლდიაშვილი. ებრაელებს საბაც ზედ დააკლეს. მიცვალებულის გვამი ბათუმში ჩამოასვენეს. აქ დავით კლდიაშვილმა უჭირისუფლა ღირსეულ თანამემამულეს, რაც საეჭვო ოფიცერს არ მოუწონეს იქ „სადაც ჯერ არს“... არც ბათუმი ცხოვრობდა მშვიდად, მუშათა გამოსვლებთან სდევდა გამძაფრებული რეაქცია. აპატიმრებდნენ ყველა შემჩნეულ პირს. საპყრობილეები, დილეგები ხალხით აივსო. ციხეები პატიმრებს ველარ იტევდა. ბათუმის ხელისუფალნი ახლა იმაზე იმტვრევდნენ თავს, თუ სად წაეყვანათ დაპატიმრებულთა და მომავალში დასაპატიმრებელთა ახალ-ახალი პარტიები.

დავით კლდიაშვილი გადმოგვცემს ერთი საზღვაო ოფიცრის ნათქვამს. მას ასეთი რჩევა მიუცია გუბერნატორისათვის: ციხეების განთავისუფლება „მაინცდამაინც დიდი თავსატეხი საქმე არ არის! სულ უბრალო საშუალებით მოვიშორებთ ამ არასასურველ ელემენტებს თავიდან და ახლებისთვისაც ადგილი გვექნება... გადმომეცით თქვენი ტუსაღები მე, გადმოვიყვანეთ ერთ-ერთ ბარკასზე, ბარკასს გავიყვანთ შუა ზღვაში და თქვენ თავისუფალნი იქნებით იმ არამზადებისაგან!“ ამ არაადამიანური ჩანაფიქრის განხორციელება უცდიათ კიდეც, მაგრამ ოფიცერი, რომელსაც მუშების ზღვაში ამოხრჩობა დაავალეს, ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა და არათუ დავალება არ შეასრულა, შეურაცხყოფილი გუბერნატორს დაემუქრა კიდეც, თუ განახორციელებთ ამ ბარბაროსულ აქტს, მთელ ქვეყანას მოვდებო. ამით გადაარჩინა საზარელ სიკვდილს ტუსაღები.

ყოველივე ამის ატანა ქართველი კაცისათვის უკვე შეუძლებელი გახდა. დავით კლდიაშვილი საბოლოოდ აქცევს ზურგს ამ დამპალი იმპერიის მსახურთ, ღალატობს იმპერატორისათვის მიცემულ ოფიცრის ფიცს და სიცოცხლის გარისკვის ფასად იარაღსა და ტყვია-წამალს უგზავნის როტშილდის ქარხნის მუშებს.

1905 წელი სრული ანარქიის ხანაა მთელს იმპერიაში. ხალხის დამშვიდება უკვე შეუძლებელი ხდება, ამიტომ მთავრობა მიმართავს ვერაგულ ხრიკს. რუსეთის განაპირა მხარეებში ხელს უწყობენ მეზობელ ერთა შორის შუღლის გაღვივებას და ამ გზით მათი ძალების დასუსტებას, დაქსაქსვას. ცენტრის მიერ ინსპირირებულია სომეხ-თათართა შეტაკება ბაქოში, სადაც მოიხელთებენ, სომხები თათრებს ხოცავენ, თათრები კი სომხებს ავლებენ მუსრს. ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა უფრო დიდ მასშტაბს ღებულობს. სომეხ-თათართა შორის შეტაკებები იფეთქებს თბილისშიც, იფეთქებს ბათუმში და საზოგადოდ ყველა იმ ადგილებში, სადაც ეს უკანასკნელნი ცხოვრობენ. ორი მეზობელი ერის მორიგება თავს იდევს ქართველებმა, იმართება მიტინგები, იქმნება შემრიგებელი კომიტეტები. ქართველი კაცი სარდაფში ლტოლვილ სომეხს მალავს, სხვენზე კი ლტოლვილ თათარს. მერე, როცა ყველაფერი მშვიდდება, ან სომეხი ცდილობს მასპინძლის საკუთრების დაპატრონებას და ან თათარი, ან ერთი ახერხებს ამას და ან მეორე, უფრო სწორად, სასომხეთიდან გამოქცეული აზერბაიჯანელი ლტოლვილიც საქართველოს მკვიდრი ხდება და ბაქოდან გამოძევებული სომეხიც აქ სახლდება...

ბათუმში სომეხ-თათართა მომრიგებელ ერთ მიტინგში დავით კლდიაშვილიც ღებულობს მონაწილეობას, მოულოდნელად ხალხში შეიჭრებიან ყაზახ-პლასტუნები და სოდომ-გომორის ცოდვას დაატრიალებენ. კლდიაშვილი ძლივს გადარჩება სიკვდილს.

სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა კარგად ხედავს, რომ ამ საეჭვო ოფიცრის ნდობა აღარ შეიძლება. განიზრახეს პოლიტიკურად არასაიმედო კლდიაშვილის ჩამოცილება. საოლქო სამხედრო შტაბის უფროსი, გენერალი გრიაზნოვი ბრძანებას წერს, რომ სამი დღის განმავლობაში დავით კლდიაშვილი გაგზავნილ იქნეს დაღესტანში, უდაბურ ადგილას დაბანაკებულ პოლკში. ბედად თბილისიდან ბრძანების გაგზავნა შეგვიანდა. კაცთმოძულეობით სახელგანთქმულ გენერალ გრიაზნოვს, რომელსაც მთელი კავკასიის ამოწყვეტა ჰქონდა განზრახული, არსენა ჯორჯიაშვილის მიერ ნასროლმა ხელყუმბარამ სული გააცხებინა.

ეს შემთხვევა რომ არ მომხდარიყო, დავითს დაღესტანში უსათუოდ დაღუპვა ელოდა, რადგან იმ ნაწილში, სადაც მას აგზავნიდნენ, რამდენიმე კვირის შემდეგ ჯარისკაცთა აჯანყება მოხდა და ოფიცრები ერთიანად ამოხოცეს. ასე რომ, ჯორჯიაშვილმა გრიაზნოვის მოკვლით არა მარტო ქვეყანას მოაშორა ჭირი, არამედ, მისდა უნებურად, დიდი ქართველი მწერლის სიცოცხლეც იხსნა.

გრიაზნოვს დაშკოვი შეენაცვლა, რომელმაც უფრო მშვიდობიანად დაასრულა „ურჩი ოფიცრის“ საქმე. ერთ დღეს დავით კლდიაშვილს ცივად გადასცეს დედაქალაქიდან მოსული ბრძანება, რომელიც იტყობინებოდა: „მისმა ბრწყინვალებამ გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა (კავკასიის მეფისნაცვალი იყო იმ დროისათვის) დროულად დაინახა თქვენი წასვლა სამხედრო სამსახურიდან“. ეს იყო 1908 წელს.

ამ ბრძანებამ ბოლო მოუღო მწერლის ტანჯვას. მას უკვე შეეძლო ცეცხლისთვის მიეცა პოლკოვნიკის მუნდირი, რომელმაც ამდენი სულიერი ტკივილი მიაყენა და რომლის ქვეშაც დათრგუნულად გრძნობდა თავს. ამიერიდან მას შეეძლო შორს გასცლოდა იმ ტვინგალაყებულ ოფიცრებს, რომელთა შორის ბათუმში 26 წლის განმავლობაში ტრიალებდა. რომ არა ბათუმის ქართველი მოღვაწენი, რომლებთანაც სულს იოხებდა დავითი, ამ ოფიცრებთან ურთიერთობით შეიძლებოდა ჭკუიდან გადასულიყო კაცი. მათი გონებრივი ავლა-დიდება კარგად აქვს მწერალს დახატული თავის მემუარებში.

ერთი რუსი ოფიცერი, სულით და ხორცით გარყვნილი, სახლში ცოლის გვერდით ეკურკურებოდა თავისი შვილების „გუვერნანტკას“, ხასად დასმულ მასწავლებელს იმავდროულად კი თავის ქვეშევრდომს, რომელმაც რამდენიმე ინდაური შეიძინა და ეზოში გაუშვა, უბრძანა, – დაეკლა მამალი ინდაური, რადგან დედალს ეფაფხურება და ჩემს ქალიშვილებზე ამას ცუდი გავლენა აქვსო. ...ასეთი ჭკუასუსტი კაცები სულაც არ იყვნენ გამონაკლისნი.

ასეთი უცნაური ზნეობის ხალხი მრავლად ჰყავდა იმპერიის „უძლეველ არმიას“. ამ ჩიტირეკია ოფიცრებთან განშორება, ცხადია, დავითს გულს არ დასწყვეტდა.

გაგრძელება იქნება

# საქართველოს კავკასიური პოლიტიკა, როგორი არის იგი და როგორი უნდა იყოს?

მეოთხე გვერდიდან

სტრატეგიული კავშირის სიმყარე უზრუნველყოს? ასეთი საფუძველი სამია. პირველი არის სისხლით ერთობის ცნობიერება. ჩვენ ვეკუთვნით ხალხთა მცირერიცხოვან ცალკე შტოს (კავკასიელი ხალხები), რომელიც უხსოვარი დროიდან ცხოვრობს კავკასიაში და სხვა შტოებთან შედარებით, უმრავლეს შემთხვევაში, ბუნებრივი უპირატესობის გრძნობით ცხოვრობს, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ისეთ სპეციფიკურ სიღრმისეულ მოდელს ამ ხალხების მიერ თავისი თვითღირებულებისა, საზოგადოების მოწყობისა, მორალისა, ოჯახური ურთიერთობებისა და ა.შ., რომელიც რელიგიური სხვაობების მიღმა დგასმეორე არის კულტურის ცირველ ყოფისა – ყოფითი კულტურის ანუ ცხოვრების წესის და ღირებულებათა სისტემის) თითქმის სრული იგივეობა ამ ხალხებს შორის მათი ერთნაირი წარმოდგენა ღირსებაზე, მოვალეობაზე, ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობაზე და ა.შ.). დაბოლოს, მესამე არის პრაქტიკული ინტერესი და აუცილებლობა ერთმანეთისათვის „ზურგის“ გამაგრებისა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ახალი კავკასიის, როგორც თავდაცვისუნარიანი, სიცოცხლისუნარიანი და ქმედუნარიანი რეგიონის შექმნასთან და მის მიერ შესაშური ადგილის მოპოვებასთან ახალ მსოფლიოში, რომლის შექმნის პროცესის მომსწრენიც დღეს ვართ.

რას გვავალებს ეს პერსპექტივა დღეს? და რას გვავალებს, სახელდობრ, პრინციპულად განსხვავებულს იმისაგან, რასაც საქართველოს ხელისუფლების თითქოსდა კავკასიურ ინტერესების გამთვალისწინებელ პოლიტიკაში ვხედავთ! გვავალებს შემდეგს.

ჯერ ერთი, ცალსახად და ხაზგასმით უნდა იყოს გაცხადებული პარლამენტისა და ხელისუფლების მიერ, რომ საქართველოს ტერიტორიის არცერთი გოჯი არ იქნება გამოყენებული ჩეჩნეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციებისათვის. ეს განცხადება აუცილებელია იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზებია განლაგებული და საქართველოს ხელისუფლება რუსეთს „სტრატეგიულ მოკავშირეს“ უწოდებს (ვის წინააღმდეგ?).

მეორეც, უნდა დაუყოვნებლივ განახლდეს და გაიშალოს გზათა მშენებლობა და მშვიდობიანი ტვირთბრუნვის განვითარება საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის, რაც, სხვა ყველაფერთან ერთად, ჩეჩნეთს მომავალი შესაძლო ეკონომიკური ბლოკადებისგან იხსნის. (გზის მშენებელი კადრი საქართველოს ჰყავს და მშენებლობის დამფინანსებელიც არის საქართველოს გარეთ).

მესამეც, საქართველომ,რომელსაც თავისი თავი ნიჭიერი და განათლებული ადამიანების სამშობლოდ მიაჩნია, მსოფლიოს მედროშეობა უნდა იკისროს მცირე ერთა უფლებების, მათ შორის თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენი ერის უფლებების დაცვის საქმეში გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, მეზობელი ქვეყნისათვის იმგვარი მომართვების ჩათვლით, რომლებიც არსებულ იურიდიულ ურთიერთობათა ჩარჩოში ეტევა.

ამ ნაბიჯთა არგადადგმა საქართველოს საარსებო ინტერესთა საწინააღმდეგოდ სვლას ნიშნავს. საქართველოს ღალატი იქნება ვაზიანის აეროდრომიდან რუსული სამხედრო თვითმფრინავის აფრენის დაშვება ჩეჩნეთის პრეზიდენტის „ჰაერი-მიწა“ რაკეტით მოკვლის მიზნით და საქართველოს პრესტიჟის წინააღმდეგ წასვლაა ჩვენი ქვეყნის ქცევა მსოფლიოს იმ ერთადერთ ქვეყნად, რომლის ხელისუფალნი ამართლებენ, იოტით მაინც, რუსეთის ბინძურ ომს ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ. ვინც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იომა ჩვენს ტერიტორიაზე, აფხაზეთში, ყველანი დასჯილნი არიან და დასჯილნი იქნებიან. მაგრამ ნამდვილ ზუსტად ხედვა და მასზე ზუსტი რეაგირება არ უშლის მკაფიოდ გზის განსაზღვრას მომავლისკენ.

# სულის ზრდა

# სინანული

„არ აყოვნებს უფალი აღთქმის აღსრულებას, როგორც ზოგიერთს ჰგონია, რომ აყოვნებს, პირიქით დიდსულოვანია თქვენს მიმართ, რადგან ვისიმე წარწყმედა კი არა სურს, არამედ ყველას მისვლა სინანულად (2 პეტრ. 3.9).

„ღმერთი არის უსაზღვროდ მოწყალე და ცოდვის მიმტევე, აჩვენე მას შენი სულიერი წყლული, ითხოვე მისგან პატიება, კურნება და მიიღებ მას“ (ეპისკოპოსი იგნატი–ბრიანჩანინოვი).

განვაგრძოთ საუბარი აღსარების საიდუმლოს შესახებ. როდის არის აღსარება ჭეშმარიტი? აღსარება ჭეშმარიტია უპირველეს ყოვლისა მაშინ, როდესაც ადამიანი თავის შეცდომებსა თუ ცოდვებს აღიარებს თავისუფალი ნებით და არა იძულებით. აღსარების თქმა ადამიანისათვის ჩვევა კი არ უნდა იყოს, არამედ სულიერი მოთხოვნილება.

აღსარება უნდა იყოს აუცილებლად გულწრფელი, ყოველგვარი თავის მართლების გარეშე, ამ დროს უნდა დავძლიოთ ჩვენი პატივმოყვარეობა. ბევრი ამბობს: „მე ცოდვილი არა ვარ“, ან „ჩემი ცოდვები ადამიანური და მსუბუქია“ ან „მე სულაც არ მაწუხებს ჩემი ცოდვები“. არ დაგვავიწყდეს, რომ ადრე თუ გვიან ყველანი წარვსდგებით ზეციური მამის წინაშე და ყოველი მოუნანიებელი ცოდვის გამო დიდი სატანჯველი გველის. ამიტომ შევთხოვოთ უფალს მოგვანიჭოს „განცდა თვისთა ცოდვათა“ და გვახსოვდეს, რომ თუნდაც ერთი, მაგრამ გულწრფელი, სინანულით ნათქვამი აღსარებით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ღვთის დამსახურებული რისხვა. გავიხსენოთ იესო ქრისტეს გვერდით ჯვარზე გაკრული ავაზაკი, მეზვერე ზაქე, მეძავი დედაკაცი, ქრისტეს უარმყოფელი პეტრე, მათ ხომ თავიანთი სინანულის გამო დაიმკვიდრეს სამუდამო სასუფეველი.

ყოველი ჩვენი აღსარება უნდა იყოს ისეთი განცდით ნათქვამი, თითქოს სიკვდილის წინა, თითქოს იგი ჩვენი უკანასკნელი აღსარებაა. სულის მკურნალს, უფალს სრული ნდობით დავანახოთ ის ჭრილობები, რომლებიც გვაწუხებს და გვტკივა, თან უნდა გვქონდეს იმედი, რომ ის განგვკურნავს და მოგვიშუშებს იარებს.

აუცილებელია, გვქონდეს სასოება უფლისა, არ უნდა დავკარგოთ იმედი იმისა, რომ უფალი შეგვიწყნარებს ჩვენს ცოდვებს და შეგვიწყნარებს არა იმისათვის, რომ ჩვენ ამის ღირსნი ვართ, ან იმისთვის, რომ ჩვენი ცოდვები არ არის მძიმე, არამედ იმიტომ, რომ უფალი მოწყალეა და ვუყვარვართ მას, როგორც მშობელს უყვარს თავისი შვილი. უფლისათვის არ არსებობს იმაზე მეტი სიხარული, ვიდრე ცოდვილი ადამიანის მოქცევა.

აღსარების თქმისას აუცილებელია ჩვენში იყოს გადაწყვეტილება, აღარ გავიმეოროთ ცოდვა, განვერიდოთ საცდურს და ვეცადოთ სათნოდ წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება.

ახლა ვისაუბროთ მესამე მცნების შესახებ. მესამე მცნება ასე იკითხება: – „არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა“. ეს მცნება გვიკრძალავს ღვთის სახელის წარმოთქმას ამაოდ, ფუჭად, მაშინ, როდესაც სრულიად არ არის საჭირო მისი ხსენება. ბევრნი უბრალო და უსარგებლო ლაპარაკისას ღვთის სახელს ახსენებენ ყოველგვარი მოკრძალების გარეშე. ღვთის სახელი არის უზენაესი და უწმინდესი, მისი სახელი ყოველთვის შიშით, სიყვარულითა და რიდით უნდა ვახსენოთ.

არ შეიძლება უფლის სახელის დაფიცება. მაცხოვარი გვასწავლის ვიცხოვროთ ისე, რომ ფიცი სრულიად საჭირო აღარ იყოს. „ვიყოთ მართალნი, მაშინ საკმარისი იქნება მხოლოდ „ჰო“ და „არას“ თქმა. მაგრამ რადგან ადამიანებში არსებობს უნდობლობა და სიცრუე, ამიტომ ზოგჯერ საჭიროდ ეთვლით სიმართლის დამტკიცებას ფიცით, რაც სწორი არ არის. რა თქმა უნდა, უფრო დიდი და მძიმე ცოდვაა, თუ ღვთის სახელით ტყუილად იფიცებენ. ასევე ძალიან მძიმე ცოდვაა ადამიანის შეჩვენება ღვთის სახელით, ამ დროს მაწყევარი უფალს სთხოვს, გააუბედუროს, დასაჯოს სხვა ადამიანი და თავისი უგნურებით იმედი აქვს, რომ უფალი აღასრულებს ამ ბოროტ თხოვნას.

მესამე მცნების დარღვევად აგრეთვე ითვლება ღვთის გმობა, ღვთის სამართლის განკითხვა, ლოცვისას უგულისყურობა, აღთქმის დარღვევა.

ამრიგად, მესამე მცნება ამტკიცებს და აძლიერებს პირველი ორი მცნების აზრს. ღმერთს ისე უნდა ვსცემდეთ პატივს და თაყვანს, რომ მისი სახელი ამაოდ არ იხსენიებოდეს.

**თამარ ციხისელი**

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

**სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე**

**აკაკი ბაქრაძე** – მე შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ ვილაპარაკო, იმიტომ, რომ დოკუმენტი, რომელსაც დღეს ვიხილავთ, უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც მომავალში განაპირობებს ქართველი ხალხის ბედს. ვიმეორებ, დოკუმენტი, რომელსაც ჩვენ დღეს ვიხილავთ, გახლავთ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რადგან იგი მომავალში განაპირობებს ქართველი ხალხის ბედს. ამიტომ ყველა მოქალაქის ვალია, ძალიან მკაფიოდ და მკვეთრად გამოთქვას თავისი დამოკიდებულება იმ დოკუმენტისადმი, რომელიც დღეს საერთოდ რესპუბლიკის და მწერალთა კავშირის განხილვის საგანია.

ჩემი დასკვნა ამ დოკუმენტის მიმართ ასეთია: თუ ეს პროექტი მიღებული იქნება ამ სახით, რა სახითაც ის არის წარმოდგენილი, ამით კონსტიტუციური საფუძველი ეყრება ქართველი ხალხის გარუსების საქმეს. რატომ? იმიტომ, რომ სამი უმთავრესი პუნქტი გახლავთ ამ კონსტიტუციაში საამისო.

აქ ბევრი გამოთქვამდა აზრს, რომ ეს შემთხვევითია, ზოგი ამბობდა, რომ გაუგებრობაა, სტილისტური შეცდომაა და ა.შ.

კონსტიტუციის პროექტი არ არის ის დოკუმენტი, სადაც ვინმე გაუგებრობას ან შეცდომას უშვებს. ამ კონსტიტუციას ადგენდა ხალხი, რომელმაც შესანიშნავად იცის მისი ფასი. ამიტომ იქ არავითარი შეცდომა არ არის. ის მკაფიოდ, გამიზნულად დაწერილია და წარმოდგენილი და როდესაც იმ კონსტიტუციაში წერია: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი აცხადებს ამ კონსტიტუციას“ – ეს არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ ქართველი ერი გაუქმებულია და საქართველო მხოლოდ ადგილია, გეოგრაფიული ადგილი.

საქართველო ეკუთვნის ქართველ ხალხს, და ქართველი ხალხი უნდა აცხადებდეს იმ კონსტიტუციას. ამიტომ, როდესაც იქ სწერია „საქართველოს ხალხი“, ნაცვლად „ქართველი ხალხისა“, ეს უკვე ნიშნავს, რომ ქართველ ხალხს, როგორც ერს, ხაზი გადაესვა.

მეორე, საქართველოს მთავრობას აქვს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შექმნის უფლება, მაგრამ არაფერი სწერია გაუქმებაზე. ჩვენ არ გვაძლევენ იმის უფლებას, რომ ავტონომიური რესპუბლიკა ან ოლქი გავაუქმოთ, მაგრამ სიხარულით გვაძლევენ უფლებას კიდევ შევქმნათ სხვა ავტონომიური ოლქი თუ რესპუბლიკა და კიდევ უფრო დავუცამცირდეთ ჩვენი ქვეყანა.

მესამე, ის ყბადაღებული 75-ე მუხლი, რომლის შესახებ ამდენი ლაპარაკია.

სამი ეს დებულება სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ კონსტიტუციურად საფუძველი უნდა ჩაეყაროს ჩვენი გარუსების საქმეს.

რაც შეეხება „სახელმწიფო ენას“ და ჩვენს გარუსებას, არ არის სხვა ტერმინი, გარდა „სახელმწიფო ენისა“, რომელიც ობიექტურად, მკვეთრად განსაზღვრავს ამა თუ იმ ენის მდგომარეობას ამა თუ იმ სახელმწიფოში, და თუ ამ ტერმინს ებრძვიან, ებრძვიან იმისათვის, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ.

როდესაც აქ თავს იმართლებენ იმით, რომ რუსული ენა არ არის მოხსენიებული სახელმწიფოებრივ ენად, ეს სულ სხვა მდგომარეობაა. რუსულ ენას არავინ არ ემუქრება, მის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუძლია ისეთ დიდ ენებსაც, როგორიც ფრანგული და ინგლისურია. ის აღიარებულია ერების საერთაშორისო სამუშაო ენად, და რა თქმა უნდა, რჩება სახელმწიფო ენად. მაგრამ ისეთ პატარა ენას, უფრო სწორედ – რიცხობრივად პატარა ერის ენას, როგორც ქართულია, უდიდესი საფრთხე ემუქრება, როდესაც კონსტიტუციურად უფლებამოსილი არ არის, როდესაც კონსტიტუციურად ჩვენი ენა ჩვენსავე სახელმწიფოში უფლებამოსილი არ არის ეს მაშინ, როდესაც ქართულ ენას მსოფლიოს არც ერთ კუთხეში მონათესავე არა ჰყავს, დარჩა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა და აქაც კი წართმეული გვაქვს უფლება მისი სახელმწიფო ენად გამოცხადებისა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ან არის სახელმწიფო ენა, ან პატუას ენა (შინაური, შინ სახმარი ენა). ახალი კონსტიტუცია ქართულ ენას პატუა-ენის უფლებას უტოვებს.

აქვს თუ არა რომელიმე ქართველს უფლება, რა თანამდებობის, რა მდგომარეობის, რა შეგნების არ უნდა იყოს, მხარი დაუჭიროს ამ კონსტიტუციას? მე არ გეუბნებით 75-ე მუხლზე, მე გეუბნებით ამ კონსტიტუციაზე. ნუ ვიდავებთ იმ ცალკეულ სიტყვებზე და სტილზე, იმიტომ, რომ ვინც ეს კონსტიტუცია შეადგინეს, მათ შესანიშნავად იციან ის დიპლომატიური ხერხები. ამიტომ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ პირდაპირ, აშკარად და გულწრფელად და გამოვაცხადოთ – ქართველი ხალხი არ მოტყუვდება, არ მიიღებს კონსტიტუციას, მორალური თვალსაზრისით და მორალური უფლებით, რომელიც ყველა ჩვენგანს აქვს, არ მისცემს ხმას (ტაში), რადგან სტილისტიკური ცვლილებანი, ტექსტოლოგიური ცვლილებანი, ნაირ-ნაირი ვარიანტები საქმეს არ შველის, ამით არ იცვლება არსი, შესაძლოა სტილისტიკურმა დახვეწამ უფრო კარგად გამოკვეთოს და მოგვაწოდოს ის აზრი.

ამიტომ ჩვენ დღეს აქ ძალიან პრინციპული დამოკიდებულება უნდა გამოვიჩინოთ. აქ მურმან ლებანიძემ შესანიშნავად თქვა, რომ ზოგჯერ ჩვენ ზოგიერთი დოკუმენტის მიღებისას ვიჩენთ ზერელობას და აი, მერე სად გვხვდება ის. როცა ხალხთა დაახლოებაზე იყო ლაპარაკი დოკუმენტში, აი, საით მიყავდა ამას საქმე. ეს ყველაფერი კარგად ვიცით და თვალს ვხუჭავთ და გვინდა დიპლომატიური სვლებით გამოვიდეთ მდგომარეობიდან.

ჩვენ რომ კატასტროფულ მდგომარეობაში ვართ, სხვათა შორის, ეს დაადასტურა იმათმა გამოსვლამ, ვინც ამართლებდა ამ კონსტიტუციას. როდესაც ჩვენ საფრთხე არ გველის, ამას არ სჭირდება არავითარი დადასტურება (ტაში). სწორედ, როდესაც რაიმეს ვღებულობთ და რაიმე მოითხოვს დასაბუთებას, ახსნა-განმარტებას, ბოდიშების მოხდას, ეს უკვე ნიშნავს იმას – საქმე ძალიან ცუდად არის.

ამიტომ მე შემომაქვს წინადადება, რომ კენჭი ეყაროს მწერალთა კავშირში ამ საკითხს – აძლევენ თუ არა ამ კონსტიტუციას საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები ხმას და ნუ დავიწყებთ – რით შეიძლება გამართლდეს კონსტიტუცია (ხანგრძლივი ტაში).

**თავმჯდომარე** – სიტყვას ვაძლევ გურამ ასათიანს

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №4,5,6,7,8,9, 10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20.

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას VI კვარტალში 35-ე კორპ. 5 სართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ფასი შეთანხმებით, ტელ. 35–11–34 მზია

იყიდება 2 ოთახიანი ბინა, ნუცუბიძის III მკ.რაიონში II კვარტლის VII კორპუსში, 9 სართულიანი სახლის VII სართულზე, ლოჯიით. ფასი 15000$ ტელ. 35-11–34 მზია

იყიდება ან იცვლება ოროთახიანი ბინა საბურთალოზე (ყოფ. პარტიზანების), ხეიჩიას 7–ში, ოროსართულიან სახლის II სართულზე. ფასი 25000$ ტელ. 38–71–02

იყიდება საკუთარი ბინა საერთო ეზოში მეტრო „ავლაბრის" პირდაპირ, ლვინის აღმართის თავზე. საცხოვრებელი ფართი 35 კვმ წინ გადახურული ლოჯიით. საყურადღებოა, როგორც პერსპექტიული ადგილი, სახლის ასაშენებლად. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96–00–97

იყიდება 2 ოთახიანი მაღალჭერიანი გარემონტებული ბინა მეტრო „წერეთლის" პირდაპირ, იტალიურ ეზოში, ტელეფონით. ფასი 14000 დოლარი ტელ. 96-69-75 გოჩა

იყიდება 3 ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას 45, კორპ.23 ქუჩიდან 1 სადარბაზო, მე–5 სართული აგურის სახლში. კუთხის ბინა დიდი მიშენებით, გოგირდის ცხელი წყლით, ტელეფონით. საწყისი ფასი 25000$ ტელ. 39–79–28 გალია

იყიდება 3 სართულიანი საცხოვრებელი ბინა, მიწის ნაკვეთით (600 კვმ) ხეხილით, კუმისში, სადგურთან. ფასი შეთანხმებით. ტელ. 61–51–12

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, აივნით, ტელეფონით, ძველი რემონტით მე–2 სართულზე. ვაჟა-ფშაველას 80, ძეგლთან. ფასი შეთანხმებით. ტელ. 30–10–52

## ქირავდება

ქირავდება საოფისე ან სასაწყობო ტერიტორია კოსტავას ქუჩაზე ტელევიზიის წინ. ტელ. 39-31–75 დათო, ირინა

ქირავდება 5 ოთახიანი ბინა კერძო სახლის პირველ სართულზე, საწყობად ან წარმოებისათვის გაგარინის მოედანთან. ფასი 200$ ტელ. 37–47–16

## ვასწავლი

შევასწავლი ნებისმიერი ასაკის მსურველებს გიტარაზე დაკვრას. ფასი შეთანხმებით. ტელ.64–76–77 მაიკო

შევასწავლი TOEFL და GMAT- ის განახლებული 1996 წლის პროგრამით. ტელ. 36–33–03 (5 სთ–ის შემდეგ)

დაჩქარებული მეთოდით შევასწავლი კოსმეტიკას და მანქანაზე ბეჭდვას. მის. ნაძალადევი, ცდადიანის 26, ტელ. 66–09–19

ვასწავლი გერმანულს სწრაფი უნიკალური მეთოდით. ვთარგმნი და ვბეჭდავ გერმანულ და ინგლისურ ენაზე. ტელ. 98–45–53 მამუკა

შევასწავლი გიტარაზე სიმღერების დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველს ტელ. 64–76–77 მაიკო

## სხვადასხვა

პროფესიონალი მუსიკოსები გაგილამაზებთ სუფრას ქართული სიმღერებით ტელ. 66–92–65 მალხაზი და მერაბი

იყიდება შავი ფერის პიანინო, ფასი 250 ლარი ტელ. 38–71–02

სასწრაფოდ იყიდება „კაპიროვკის" დასამზადებელი ქაღალდი რულონებში, პირველი ხარისხის „KO-16" ფასი შეთანხმებით ტელ. 96–69–75

იყიდება სასადილოს და სამზარეულოს ორიგინალური მაგიდები ოთხი სკამით, მასიური მუხა. ჰოლანდიური. ფასი 700–დან 1000 დოლარამდე. ტელ. 96–69–75

იყიდება ჰოლანდიური ორიგინალური სხვადასხვა სტილის სამეულები და ორეულები მაგიდებით, მასიური მუხა ნატურალური ტყავით. ფასი 2800–დან 3500 დოლარამდე. ტელ.96–69–75

## ავტომანქანა

იყიდება ავტობუსი „სკანია 111" 1978 წლის გამოშვება, 47 ადგილიანი, ლუქს სალონით, კარგ მუშა მდგომარეობაში ტელ. 73–65–85; 73–54–56 რამაზი

იყიდება ავტომანქანა BMW-323 6 ცილინდრიანი, 1985 წლის გამოშვება, ფასი შეთანხმებით ტელ. 99–72–48

## მილოცვები

ნინო ხაჩიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და გამართლებას სიყვარულში.

მარიკა, ნინო და ანა

ჩვენს საყვარელ ავთანდილ ავლოხაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ კარგად ყოფნას, ჯანმრთელობას.

მეუღლე, შვილები და დები

დედა, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

მერი ისაევი

გარდაიცვალა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, კაცური კაცი

**გია ანზორის ძე დალალაშვილი**



ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრო, მაგრამ შეძლო დაეტოვებინა კარგი შვილის, კარგი ძმისა და კარგი მეგობრის ნათელი სახელი. ღმერთმა საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს.

მეგობრები


**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შესწავლის კურსებზე

მსმენელთა განკარგულებაშია IBM–ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები 80486 პროცესორით, პროგრამული საშუალებები (MS DOS, Norton Commander, Windows, Word, Excel და სხვა) და მეთოდური ლიტერატურა.

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერთიფიკატს

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, № 37 (კომპლექს "მზიურის" ტერიტორიაზე)

☎ 29-48-61, 29-48-60, 23-53-17 ფაქსი: 29-49-61 E-mail: mziuri@mziuri.edu.ge

ექსპრეს აუდიტ სერვისი EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს–აუდიტ სერვისი**

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93–15–89

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93–18–41


## რა, როდის და რომელ არხზე

### 8 მარტი, შაბათი

**1** 9.00 „ცხრიდან თორმეტამდე" –შემეცნებით-გასართობი პროგრამა. 12.00 „მოამბე". „XXI " მხატვრული ფილმი. რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „დარაბებს მიღმა გაზაფხულია". შეხვედრა კომპოზიტორთან: მერი დავითაშვილი. 18.00 „მოამბე". საქართველო და გარე სამყარო. თბილისი და თბილისელები. საქართველოს კონსტიტუცია. 20.00 „მოამბე". 20.35 „ვიდეოპატრული 02" 20.45 „ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი". ლატარია „მეათე". სტუდია „მაესტრო". 22.35 „ილუზიონი": მხატვრული ფილმი „სასაცილო გოგონა" (მთ.როლში ბარბრა სტრეიზანდი). „ქეიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 საბავშვო გადაცემა „ჩიპო". 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.20 მხატვრული ფილმი –„დონ ხუან დე მარკო" (მთ.როლებში: ჯონი დეპი, მარლონ ბრანდო და ფეი დანაუეი). პროგრამის დასასრულს –კონცერტი.

**ОРТ** 10.00 მხატვრული ფილმი „სიყვარული". 11.15 მულტსერიალი. 11.35 მულტფილმი. 12.00, 17.00, 20.00 ნოვოსტი. 12.10 მოძღვრის სიტყვა.12.30 პირი ნუ დაგილია! 13.00 დილის ფოსტა. 13.35 სმაკი. 14.00 ფილმი-სპექტაკლი „შეშლილი დღე, ანუ ფიგაროს ქორწინება". 16.55, 23.50, 3.55 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტფილმები. 18.10 დოკუმენტური ფილმი. 18.50 დღესასწაულს გილოცავთ დილის ვარსკვლავი. 19.15 ისტორიის ბორბალი. 20.25 კონცერტი ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით. 21.15 ამინდი. 21.20, 23.55 მხატვრული ფილმი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა", I-II სერიები. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 1.30 სმეხოპანორამა. 2.05 მხატვრული ფილმი „შენთვის ზედმეტად ლამაზია".

**РТР** 10.00 ლუკომორიე. 10.50 მსოფლიო ჩემპიონატი მსუბუქ ათლეტიკაში (დახურულ სივრცეში). ტრანსლაცია პარიზიდან. 11.50 მემორინა. 12.15 კლუბი „ადრენალინი" 12.30 დილა მშვიდობისა, ქვეყანავ! 13.15 ფილმი სპექტაკლი „ხანუმა". 16.00 ცნობები... 16.20 ტელესერიალი „უიმბლდონელი მომწამვლელი" 17.15 პილიგრიმი. 17.40 სინდერელას მასკარადი. 19.00 რუსეთის ტელევიზიის შაბათის საღამო. 19.15 მხატვრული ფილმი „სიყვარული რუსულად". 20.55 შაბათ საღამოს ედიტ პიეხასთან. 22.00 ვესტი. 22.35 მწვავე თემა. 22.50 კინოკომედია „ლოს-ანჯელესური ისტორია". 00.35 ხვალის ამინდი. 00.40 ერთი ყველას წინააღმდეგ. 00.55 რეპორტიორი. 1.10 სახელგანთქმული დეტექტივების კლუბი. 1.40 პროგრამა „А". 2.35 სიტუაცია. 2.55 მხატვრული ფილმი „კოცნის აჩრდილი".

### კვირა 2 მარტი

**1** 9.00 „ცხრიდან თორმეტამდე". – შემეცნებით–გასართობი პროგრამა. 12.00 „მოამბე". სპა. რეიტინგი. ამერიკული მხატვრული ფილმი „უცხო". (მთ.როლში სიგურნი უივერი). საბავშვო სტუდია გთავაზობთ. ინტერმეცო. 18.00 „მოამბე". მოზაიკა. აფხაზეთის ტელევიზია. საგანძური. ინტელექტკლუბი. ენერგია. „როდის". 21.00 „მსგეფსი". 21.50 „ვიდეოპატრული 02". 22.00 სპორტლოტო. სატელევიზიო კინოდარბაზი. 23.50 „ქეიშის საათი".

**2** 19.00 „ტაიმ–აუტი" 19.30 მულტფილმები. სპორტული გადაცემა. ვიდეოანონსი. „ვარსკვლავები გვემცნობენ". 21.55 „ტაიმ–აუტი". 22.15 რეკლამა. 22.30 მხატვრული ფილმი „გზისპირა დაწესებულება" (მთ.როლში პატრიკ სუეიზი). პროგრამის დასასრულს – კონცერტი.

**ОРТ** 10.00 მუსიკალური კომედია „ყმა მსახიობი ქალი" 11.45 საოჯახო ბიბლიოთეკა. 12.00, 17.00, 2.25 ნოვოსტი. 12.15 უგზო–უკვლოდ ჩანაწერები. 12.35 დილის ვარსკვლავი. 13.25 მხატვრული ფილმი „ქალები". 15.15 აშკარა–დაუჯერებელი. 15.40 დოკუმენტური ფილმი. 16.00 „კუსტოს გუნდის წყალქვეშა ოდისეა". 16.55, 23.35, 4.10 გადაცემათა პროგრამა. 17.20 ტრეტიაკოვკა. 17.45 სიმფონიური საიდუმლოებანი. 18.10 მოგზაურთა კლუბი. 19.00 მულტფეიერვერკი. 19.45 ერთი ერთზე. 20.10 სიმღერა 97. 20.55 ამინდი. 21.00 მხიარულთა და საზრიანთა კლუბი–97. 23.00 ვრემია. 23.40 მხატვრული ფილმი „ევიტა:უკანასკნელი ტანგო". I სერია. 1.30 შუაღამემდე და შუაღამის შემდეგ. 2.35 მხატვრული ფილმი „აგენტი, სახელად დალილა".

**РТР** 10.00 საბავშვო ტელესერიალი „ფანტაგერო – ოქროს ვარდის გამოქვაბული". 11.00 ლატარიის სიახლეები. 11.15 მსოფლიო ჩემპიონატი მსუბუქ ათლეტიკაში (დახურულ სივრცეში). ტრანსლაცია პარიზიდან. 12.20 თქვენი წერილების პასუხად. 12.45 -ფიცი. 13.15 რუსული ლოტო. 13.55 ურალის თვითნაბადები. 14.00 წიგნის ფარდული. 14.30 21–ე კაბინეტი. 15.00 ევტუშენკოს პროგრამა. 15.30 ადამიანი მიწაზე. 16.00 ვესტი. 16.20 ტელესერიალი „უიმბლდონელი მომწამვლელი". 17.15 კულტურის ბაღი. 17.40 არაფერი, გარდა... 17.55 მღერის ლიუდმილა რიუმინა. 18.50 ყველას პირზე აკერია. 19.00 დისნეის ჯადოსნური სამყარო. 20.05 საერთაშორისო მიმოხილვა. 20.45 კარაოკე რუსულად. 21.15 ტელესკოპი. 22.00 სარკე. 23.00 ხვალის ამინდი. 23.05 მხატვრული ფილმი „უბედურების მომასწავებელი სიყვარული". 00.45 ლოლიტა + საშა, ანუ, ქორწილი გუშინ იყო. 2.15 K-2 წარმოგიდგენთ. 3.10 რექ–თაიმი. 3.25 ფაცი–ფუცი როიალის ირგვლივ.

# ლატარეა ყველასათვის

## 7 მარტს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი – №482969;
1000 ლარი – №112533;
900 ლარი – №878765;
800 ლარი – №779877;
700 ლარი – №166211;
600 ლარი – №759023;
500 ლარი – №112182;
400 ლარი – №165599;
300 ლარი – №675785;
200 ლარი – №239526;
100 ლარი – №498919;
90 ლარი – *30023;
80 ლარი – *73201;
70 ლარი – *51448;
60 ლარი – *37285;
50 ლარი – *52369;
40 ლარი – *56969;
30 ლარი – *69731;
25 ლარი – *40921;
20 ლარი – *78085;
10 ლარი – ***563;
10 ლარი – ***002;
10 ლარი – ***318;
10 ლარი – ***856;
10 ლარი – ***804.

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეცხრე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის" ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის IX ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **3934** გათამაშებაზე შეუძლიათ 14 მარტს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა **BMW** მოიგო ლატარიის ბილეთმა **№783353**

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

მესამე გვერდიდან

90. აფშინაშვილი – 41 (დედოფლისწყარო – 19; თბილისი – 13; ახმეტა – 7).

91. აქიმიძე – 47 (ახმეტა – 38; თბილისი – 7; თელავი – 1);

92. აქულაშვილი – 45 (ბოლნისი – 36; თბილისი – 7; დმანისი – 1).

93. ალამონაშვილი – 28 (დედოფლისწყარო – 3; თბილისი – 2; ბათუმი – 1).

94. ალაჯანაშვილი – 46 (კასპი – 10; ყვარელი – 10; თბილისი – 5).

95. ალვინაშვილი– 24 (თბილისი – 18; ახმეტა – 5; მცხეთა – 1).

96. ალოშაშვილი – 46 (ადიგენი – 25; ახალციხე – 18; რუსთავი – 2).

97. აშკარელაშვილი – 26 (გურჯაანი – 15; თბილისი – 11).

98. აშკარელი – 36 (რუსთავი – 7; თბილისი – 5; გურჯაანი – 3).

99. აშკარელიშვილი – 43 (გურჯაანი – 38; თბილისი – 5).

100. აჩქიტიძე – 20 (თბილისი – 1; ლაგოდეხი – 19).

101. აწყვერელი – 43 (თბილისი – 35; თელავი – 4; ბოლნისი – 2).

102. აჭაიძე – 20 (ახმეტა – 11; ყვარელი – 7; ახალციხე – 1).

103. აჭიშვილი – 32 (ახმეტა – 31; ოზურგეთი– 1).

104. ახალაძე – 21 (ქუთაისი – 17; თბილისი – 1; ჩხოროწყუ – 3).

105. ახალშენაშვილი – 42 (თბილისი – 11; ზუგდიდი – 4; მცხეთა – 27).

106. ახალშენიშვილი – 29 (თბილისი – 13; დუშეთი – 5; თერჯოლა – 2).

107. ახმოდიშვილი – 25 (თელავი – 25).

108. ახოტელაშვილი – 29 (დმანისი – 20; ბოლნისი – 3; თბილისი – 6).

109. ახსიაშვილი – 46 (თბილისი – 30; გარდაბანი– 2; თეთრიწყარო – 14).

110. აჯამელაშვილი – 24 (თბილისი – 24).

111. აჯაფაშვილი – 22 (გურჯაანი – 11; თბილისი – 11).

*გამოვიდა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები და მისაღები გამოცდების პროგრამები 1997 წლისათვის*

*გთავაზობთ ქართული ენის პროგრამას*

# ქართული ენა

**ზოგადი მითითებანი**

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელმა უნდა შეძლოს აზრის სწორად, თანმიმდევრულად, გამართული ქართულით ჩამოყალიბება. მას უნდა ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა ენის რაობის შესახებ, უნდა იცოდეს ქართული ენის ისტორიისა და სტრუქტურის ზოგი არსებითი ხასიათის საკითხი.

გამოცდაზე საგანგებო ყურადღება მიექცევა მართლწერის საკითხების ცოდნას. ქართული ენის ცოდნა შემოწმდება ქვემოთ მოყვანილი პროგრამის ფარგლებში. აბიტურიენტს ევალება ასევე წინადადების გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) გარჩევა.

**პროგრამა**

ენის როლი საზოგადოებაში. ენის დანიშნულება (ფუნქციები).

ენის ცვალებადობა-განვითარება და მისი საფუძველი.

მონათესავე ენები. ქართული ენის ადგილი მონათესავე ენათა ოჯახებს შორის.

ქართველური ენები.

ქართული ენა როგორც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე მდიდარი და განვითარებული სალიტერატურო ენა.

სალიტერატურო ენა და დიალექტები (კილოები).

ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების საფეხურები.

ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა და შემდგომი განვითარება, როგორც სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი.

ქართული დამწერლობის წარმოშობა. ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები (წარწერები, ხელნაწერები).

ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები (მრგვლოვანი, ნუსხური, მხედრული).

სიტყვის შემოკლებით წერა (ქარაგმა).

ბგერა და ასო. ანბანი (ასოთა სახელები). ხმოვნები და თანხმოვნები. ბგერათა რაოდენობა ძველსა და ახალ ქართულში. ხმარებიდან გამოსული ასოები. რიცხვის გამოხატვა ასოებით ძველ ქართულში. ღია და დახურული მარცვალი. სიტყვის დამარცვლისა და გადატანის წესები.

სიტყვა, მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა: მნიშვნელობის გაფართოება და დავიწროება. დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები. ნასესხები სიტყვები. ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

ლექსიკონის სახეობანი (განმარტებითი, თარგმნითი, სინონიმთა, ეტიმოლოგიური, ომონიმთა, ორთოგრაფიული, ინვერსიული, ტერმინოლოგიური) და მათი გამოყენება.

გრამატიკის ნაწილები (მორფოლოგია და სინტაქსი).

მეტყველების ნაწილები. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი, სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები.

არსებითი სახელი. ჯგუფები შინაარსის მიხედვით.

არსებით სახელთა ბრუნება.ჯგუფები ფუძეთა მიხედვით. ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები. ფუძეთანხმოვნიანი და ფუძეხმოვნიანი არსებითი სახელის ბრუნება. საკუთარ სახელთა ბრუნება. სახელთა ბრუნება ძველ ქართულში.

ზედსართავი სახელი. ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელები. ზედსართავ სახელთა [illegible] წარმოება. ზედსართავ სახელთა ბრუნება (ცალკე და არსებით სახელთან ერთად).

რიცხვითი სახელი. რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების წარმოება. რიცხვითი სახელების ბრუნება (ცალკე და არსებითთან ერთად).

ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება. „მისი", „თავისი" ნაცვალსახელების ხმარება.

რთული სახელები.

ზმნა. ზმნის პირი და რიცხვი. პირთა რაოდენობა ზმნის ერთ ფორმაში. სუბიექტური პირის ნიშნები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში. ობიექტური პირის ნიშნები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში.

წინისწინი. ზმნისწინის ძირითადი ფუნქციები. მარტივი და რთული ზმნისწინები. ზმნისწინები ძველი სახით ახალ ქართულში.

დრო. ახლანდელი, წარსული და მომავალი დრო.

ასპექტი. სრული და უსრული ასპექტი. სრული ასპექტის გამოხატვის საშუალებანი. უასპექტო ზმნები.

კილო. თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი.

სერიები და მწკრივები.

თემა. თემის ნიშნები.

გარდამავლობა. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები.

გვარი. მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო გვარის ზმნები.

ქცევა. საარვისო, სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნები.

კონტაქტი. შუალობითი და უშუალო კონტაქტი. შუალობითი კონტაქტის ფორმათა წარმოება.

სახელზმნა. საწყისი, მიმღეობა.

ფორმაუცვლელი სიტყვები და ნაწილაკები. ზმნიზედა, ზმნიზედის ჯგუფები. თანდებული, თანდებულიანი ბრუნვები. კავშირი და მისი ჯგუფები. ნაწილაკი. შორისდებული.

წინადადება. წინადადება შინაარსის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვა-ძახილის, ბრძანებითი).

წინადადების წევრები: მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები.

წინადადება აღნაგობის მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული.

წინადადება წევრთა შედგენილობის მიხედვით: სრული და უსრული, გაუვრცობელი და გავრცობილი, უქვემდებარო.

შერწყმული წინადადება (უკავშირო, კავშირიანი). კავშირები და სასვენი ნიშნები შერწყმულ წინადადებაში.

განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, დანართი, მიმართვა, ჩართული, მიგებითი ნაწილაკები, შორისდებული. სასვენი ნიშნების ხმარება განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან.

რთული წინადადება. რთული წინადადების სახეები. კავშირებიანი და უკავშირო შეერთება.

რთული თანწყობილი წინადადება.

რთული ქვეწყობილი წინადადება. მთავარი და დამოკიდებული წინადადება. დამოკიდებულ წინადადებათა სახეები.

სასვენი ნიშნების ხმარება რთულ წინადადებაში.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

გაგრძელება იქნება

# კაიფვორდი



**მწოლიარედ:** 1. „შემოსარტყმელი" ქამარი; 3. ჭკუის „დასაფანტი" სასმელი; 6. „აფრით" შესული კაცი „სიონში" (სახ.); 14. „ხალიანი ტურას" ნაშოვნი ფული; 15. „კაკაოს" მოყვარული კაცი; 16. „სამი მეგის და ელოს" საქართველოს კუთხე; 30. „ვანში" გადახდილი სამაგიერო; 21. „ნელი" მაგრამ „ავი" ქარი; 22. სახელი „ცასმიჩერებული" ქალის; 24. უცხო ენების მყლაპავი ადამიანი (რუს.კავშ); 27. გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას, თავს იწონებს ნაზი.. 29. რაიმესადმი ძლიერი ინტერესი და სიყვარული; 30. „მიხას" საყვარელი ყვავილი; 31. ბუნებრივად შეღებილი ქალი (სახ.); 32. „დალის" ჯილდო; 33. „ის ირას" ტკბილეულია; 35. ერთნაირად ღრღნის გულსა და ხილს; 36. სიყვარულის ღმერთის – ამურის იარაღი.

**მდგომიარედ:** 2. „ავების ჭალა"; 4. საქართველოს ბულბული (პოეტი); 5. „კენტად ტაშის" დამკვრელი ქალაქი; 7. „იას" სადარი კაცის სახელი; 8. ჯუღაშვილის ბავშვობის სახელი; 9. ყველაზე „საშიში" ნარკოტიკი; 10. „უმი მუზის" თავშესაფარი; 11. „მაზით" შექმნილი მშვენიერება; 12. ბეჭდის თვალში ჩასასმელი ქვა (სახ.); 13. „ლექსოს და ციას" ერთობლივი საუბარი; 17. „ქალია", ნამდვილი „ქალია"; 19. „ალას ჰოლში" დასალევი წამალი; 23. „მე სერზე" შემოვდგები და ისე დაგიძახებ; 24. პეტრე და.. 25. „ომის" მოყვარული ცხოველი; 26. „ტახის" წამოსაწოლი; 28. „ადას" ნამცხვარი; 34. თითის საჩვენებელი ნაცვალსახელი.

**ნუნუ ლოლაშვილი**

## წინა ნომრის პასუხები

**თარაზულად:** 5. ბონდი; 7. კილიმანჯარო; 10. გურია; 12. პასპორტი; 13. ერაყი; 14. ბომბეი; 15. ფონიჭალა; 16. ჯორი; 17. ქორწილი; 18. საირმე; 22. ანაკლია; 23. ირნჯა; 26. ჭაშნიკი; 27. ვარშავა; 29. როსტევანი; 35. ვერმიშელი; 36. ბურახი; 37. მახინჯაური; 38. ალბატროსი; 39. ზაირი.

**შვეულად:** 1. აკიდო; 2. გარონა; 3. პორტფელი; 4. სულელი; 5. ბადრიჯანი; 6. დელისი; 8. ლომბარდი; 9. ნისანი; 11. ბაჭია; 12. პირინეი; 17. ქორვაჭარი; 18. სტალინი; 19. კარავი; 20. მარკა; 21. მოსკოვი; 24. ანატომია; 25. იარდი; 28. ეშეი; 30. ნუნუ; 31. ამება; 32. მეტრო; 33. ობი; 34. გალი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444